საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 6 სექტემბერი. 2016 წ. №165 (8057), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ნაციონალების ჯოჯოხეთის კანტორა

როცა დედა შვილს არ აიყვანს ხელში!

„ვაცხადებ მკაფიოდ, — რაც უნდა მოიხარშოს ნაცმოძრაობის ადუღებულ თავში, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებულ სამართლებრივ დავაში ისინი შედეგამდე ვერ მივლენ. პირველივე დღიდან მოყოლებული, და ეს 2012 წლამდე გაცილებით ადრე დაიწყო, დავას ვაწარმოებ ცივილური, სამართლებრივი გზებით. ამ გზებით მივალ კიდეც საბოლოო გამარჯვებამდე, რაშიც სრულიად დარწმუნებული ვარ, რადგან სიმართლე ერთია და ამ დავაში ის ჩემს მხარესაა.“

9

6

ნოემბერის საკონცერტრაციო ბანაკიდან – საქართველოში

რამაზ საყვარელიძე:

„ოცნების“ უნიათობის შედეგია ნაციონალების მყარად ყოფნა საქართველოში

5



ბიძინა ივანიშვილი:

არაადეკვატური რეაქცია გავაკეთე „ვარდების რევოლუციაზე“ – ნაციონალებს ორნელინად-ნახევარი ვაფინანსებდი

2

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

სად გაქრა საერთო-სახალხო საკუთრება?

4

ალეკო ასლანიშვილი

8

ბერია არ გაუსამართლებიათ, თავის ბინაში მოკლეს მხეცურად



ბიძინა ივანიშვილი: ამერიკაში ჩაგიყვანთ და გაჭირვებულებს ყველგან გაჩვენებთ...

სამუშაო ადგილები გაიზარდა მინიმუმ 65 000-ით!

ეკონომიკური ზრდის ტემპი, რაც საქართველოს ახალი ხელისუფლების პირობებში აქვს, არასდროს ჰქონია, — ამის შესახებ ივანიშვილმა გურიაში, რეგიონულ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპით ლიდერია.

— ეკონომიკური ზრდის ტემპი შესაძლოა არ არის მომხიბლავი დღეს როგორიც იყო ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 4 წლის განმავლობაში, თუმცა, შეგახსენებთ, რომ ჩვენ ვართ ლიდერები ეკონომიკური ზრდის ტემპით, რომელიც არასდროს ყოფილა წინა ხელისუფლების დროს. როდესაც რეგიონში არის კრიზისი, როდესაც ევროპაშიც კრიზისია, იქ ქვეყანა ვერ გაიზრდება ძალიან მაღალი ტემპებით, მაგრამ ამ პროცესში საქართველო არის ლიდერი, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, კორუფცია ნულამდეა დასული. სამუშაო ადგილები 2006-12 წლამდე 23 000-ით შემცირდა და ქვეყნიდან გადინების ტემპი იყო ძალიან მაღალი. ახლა კი ქვეყანა ვალების ეკონომიკიდან გადავიდა ინვესტიციების ეკონომიკაზე და სამუშაო ადგილების რაოდენობამაც მოიმატა.

,,ჩვენი მოსვლის შემდეგ სამუშაო ადგილები გაიზარდა დაახლოებით 65 000-ით. ამავდროულად, ეს არ გაზრდილა სახელმწიფო სტრუქტურების ხარჯზე, პირიქით, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. “.

„თავისუფალ დემოკრატებს“ ლამის ბოდიშების მოხდა მოუწიათ...

„თავისუფალი დემოკრატები ერთ ადამიანზე მორგებული გუნდია. მიყვებიან ლიდერის დინებას“, — ასე აფასებს ბიძინა ივანიშვილი ალასანიას პარტიას.

„ალასანია რომ ლიდერი ყოფილიყო, პროკურატურის შესვლის შემდეგ უნდა გადამდგარიყო და გუნდისთვის მუშაობის საშუალება მიეცა. გუნდის სხვა დანარჩენი წევრები ერთ კაცზე მორგებულები არიან და ცდილობენ, როგორმე არ უღალატონ ალასანიას. ასეთი გუნდი, უფრო დიდი და ძლიერი, ცხვირწინ გვყავს და 9 წლის განმავლობაში ვუყურებთ. მე მივანიშნებდი, რომ ასეთი პოლიტიკური გუნდი სახელმწიფოს მართვისთვის არ სჭირდება. გუნდი, რომელიც მოვა, მისთვის მეგობარი და ნათესავი მთელი სასქართველოს მოსახლეობა უნდა იყოს და არა პატარა ჯგუფი...

„თავისუფალი დემოკრატები“ ზოგადად რომ დავახასიათო, **აჩვენა საკუთარი სახე ბოლო წლების განმავლობაში, არც თუ ისე კარგად. ისინი იყვნენ კოალიციის წევრი პარტია, გახსოვთ, როგორ წავიდნენ კოალიციიდან და განაცხადეს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პროდასავლური ორიენტაცია შეცვალა და განუდგენენ პარტიას. რამდენიმე კვირის შემდეგ ლამის ბოდიშების მოხდა მოუწიათ, რომ თურმე ეს არ ჰქონიათ მხედველობაში. აშკარად, ვერ ჰქონდათ დალაგებული და გააზრებული.მათი ლიდერი დღესაც ამბობს, რომ პირადი პატიმრებია ივანიშვილის ის, რაც თავდაცვაში მოხდა. თავდაცვაზე უამრავი განცხადება მქონდა პრემიერობის დროს გაკეთებული, რომ იქ ტენდერები არ ჩატარდა, იქ ხალხი იწამლებოდა. ყველანაირად ვცდილობდი, რომ მას ეს პროცესები და ეს პრობლემები მოეგვარებინა. ისე წამოვედი, რომ დალაგებული კიდევ არ მქონდა. შემდეგ, ის განცხადებები, აბსოლუტურად უსამართლო, რომ ალასანია ამბობს, რომ მოსამართლეზე ხდება ზეწოლა ივანიშვილის მხრიდანო. ალასანია ამბობს, რომ ხდება ძალადობა და მოსამართლე თავშესაფარს ეძებს საზღვარგარეთ. მოსამართლე ამბობს, მსგავსი არაფერი ხდებაო. ექსპერტზე მიდის ზეწოლაო, მერე ამბობს, რომ ექსპერტი მოიტაცესო. მეორე თუ მესამე დღეს გამოდის ექსპერტი და ამბობს, რომ სიცრუეაო... საუბედუროდ, ალასანიას რიტორიკა ბოკერიას რიტორიკასთან მოდის თანხვედრაში“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

ამერიკაში ჩაგიყვანთ და...

„2012 წლამდე 137-ე პოზიცია ეჭირა საქართველოს და ბოლოდან მე-6 ადგილზე ვიყავით მაკროეკონომიკური გარემოს მიხედვით. დღეს საოცარი გარდატეხა მოხდა. საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებსაც კი როგორიცაა ბელგია, ირლანდია, საფრანგეთი, აშშ, ბრიტანეთი, იაპონია და ა.შ. ეს ყველაფერი ერთად აღებული, ამერიკა და იაპონია რომ არ გაგიკვირდეს, ეკონომიკა არის შესავსები, ყველაფერი ასაშენებელი და გასაკეთებელია.

გადით ქუჩაში. ამერიკაში ჩაგიყვანთ და გაჭირვებულებს ყველგან გაჩვენებთ. გვაქვს რეალური შანსი იმის, რომ 2030 წელს ასეთი ქვეყნების მსგავსი ეკონომიკა გვქონდეს. მაგრამ ამ დროშიც თქვენნაირები ამის შემდგომაც ნახავენ გაჭირვებულებს. გადით ქუჩებში და ნახეთ რა ხდება.

რატომ ვამბობ „ნაციონალური მოძრაობის“ ფანს? იმიტომ რომ როდესაც კითხვას მისვამ ის უნდა არგუმენტირებული იყოს. როდესაც ზოგად კითხვებს ამბობ, რომ ქუჩაში გადი და ნახეო, სწორედ ესაა „ნაციონალური მოძრაობის“ დემაგოგია“, — მიმართა ივანიშვილმა „გურიის მოამბის“ ჟურნალისტს.

ნაციონალური მოძრაობის წევრები სახიფათონი არიან!

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ გოგა ხაინდარავას ფილმის ჩვენებას ქუჩის აქციები არ მოჰყვება. მისი განცხადებით, ადამიანები, რომლებიც მაშინ იჩაგრებოდნენ სახიფათონი არ არიან. ივანიშვილის თქმით, თავად „ნაციონალური მოძრაობაა“ სახიფათო.

„ჩემთან ასეთი შეკითხვებიც იყო მედიაში, რომ ხომ არ გამოიწვევს ეს ქუჩაში აქციებს, ჩვენ არ ვართ ახალგაზრდა, ჭყინტი ერი და არავითარი ქუჩის აქციები არ იქნება. თუ თავს მოხვეული არ არის ძალადობა, რაც სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ნაციონალურმა მოძრაობამ მოიტანა და დღესაც ძალადობაზეა აგებული და სახიფათონი არიან. ძალადობრივი თუ იქნება და ქუჩაში რამე, სახი-

ფათო ეს ფილმი კი არ იქნება და ამ ფილმის ყურების შემდეგ მოქალაქეებს კი არ გაუჩნდებათ სურვილი, რომ პასუხი აგებინონ, არავის პასუხი არ უგებინებია და არაფერი ქუჩაში არ მომხდარა დღემდე, ასე იქნება დღესაც. სახიფათონი ისინი კი არ არიან, დაჩაგრული საზოგადოება, მათი მმართველობის დროს გაწბილებულნი და აგრესიული, ისევ თვითონ არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები სახიფათონი“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

არაადეკვატური რეაქცია გავაკეთე „ვარდების რევოლუციაზე“ - ნაციონალებს ორწელიწად-ნახევარი ვაფინანსებდი

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „ვარდების რევოლუციასთან“ დაკავშირებით არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა.

მისი თქმით, ორ წელზე მეტი, ყოფილ ხელისუფლებას აფინანსებდა, რასაც კარგად მალავდნენ.

ივანიშვილის თქმით, მისმა პოზიციამ „ნაციონალური მოძრაობის“ გამოაშკარავების პროცესი შეაყოვნა.

„არაადეკვატური რეაქცია გავაკეთე მაშინ. ზედმეტად ემოციური ვიყავი, ზედმეტად გამიხარდა და ამ გზით მოსვლაც მივიღე. ორწელიწად-ნახევარი ხელისუფლებას ვაფინანსებდი, რასაც ვმალავდით და კარგად ვფუთავდით. პირდაპირი მნიშვნელობით, მე სააკაშვილს არ დავხმარებივარ არაფერში და ამას ვერც გაბედავდა, რომ პირადი ეთხოვა რამე. ჩემმა პოზიციამ მათი გამოაშკარავების პროცესი გაახანგრძლივა. ძალიან მკაცრი პოზიცია მქონდა.“

მისი შეფასებით, ნაციონალური მოძრაობა დაშვებულ შეცდომებს სათანადოდ ვერ აფასებს.

„ნაციონალებმა სიტყვა „შეცდომა“ შემოიტანეს ისე ლამაზად და ლაღად, რომ თითქოს რაღაც შეეშალათ. მარჯვნივ კი არ წავიდნენ მთლად, ოდნავ მარცხნივ შეუგანეს. ეს განმარტონ ძალიან კარგად, რა შეცდომებზე ამბობენ უარს“, — აღნიშნა ექსპრემიერმა.

გარწმუნებთ, სააკაშვილი თანაგუნდელებს უკიჟინებს, რომ სიტუაცია არიონ!

„დესტაბილიზაციის საფრთხეს ვერ ვხედავ, მაგრამ მცდელობა ძალიან დიდია. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ მხოლოდ ამაზეა მოწოდებული. გარწმუნებთ, სააკაშვილი მხოლოდ ამაზე უკიჟინებს საკუთარ თანაგუნდელებს, რომ როგორმე სიტუაცია არიონ, რადგან მათ კარგად იციან, რომ არჩევნებში შანსი არა აქვთ.

4 წელიწადი მან შეინახა გუნდი ერთი რამით, გაზაფხულზე ამბობდნენ, რომ შემოდგომაზე მოვახერხებთ რევოლუციასო, შემოდგომაზე კი ამბობდნენ, გაზაფხულზე იქნებაო ეს და გადავიბარებთ ხელისუფლებასო.

შემდეგ ოთხ წელს სააკაშვილი დაპირებებით გუნდს ვერ შეინახავს. აღარავის აღარ უნდა სააკაშვილი, არავის აღარ უნდა ასეთი მმართველობა, შესაბამისად, მცდელობა არის ძალიან დიდი იმისა, რომ როგორმე სიტუაცია და ქაოსი შემოიტანონ, მაგრამ რესურსი არ გააჩნიათ“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„პატრიოტთა ალიანსი“ ერთადერთი პარტიაა, ვინც „ნაცმოძრაობის“ სწორად წარმოჩენას ცდილობს

ივანიშვილის განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო უმრავლესობის მოსაპოვებლად პარტნიორი არ დასჭირდება. პარტიების დახასიათებისას, ექსპრემიერმა „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ მათ ქვეყნის მართვა არ შეუძლიათ. რაც შეეხება “პატრიოტთა ალიანსს“, მისი თქმით, ეს პარტიას „ნაციონალური მოძრაობის“ სწორად წარმოჩენას ყველაზე უკეთ ცდილობს.

„მართალი გითხრათ, მათი პლატფორმა გამოკვეთილად ვერ გავიგე. თვალყურს მივადევნებ და მოგვიანებით გავაკეთებ ღრმა დახასიათებას. ქართული ტრადიციები და კულტურა ყველას გვიყვარს, მაგრამ გადაჭარბებული და უტრირებული არაფერი ვარგა. ყველაფერს თავისი ფასი უნდა მივცეთ. მათ უკეთ ჩამოაყალიბონ საკუთარი პლატფორმა. თუმცა, ის ერთადერთი პარტიაა, ვინც ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ სწორად წარმოჩენას. მთავრობის ჩამოსაყალიბებლად „ქართულ ოცნებას“ პარტნიორი არ დასჭირდება. ზოგადად პარტიამ ყველასთან უნდა ითანამშრომლოს თემატურად. ვისთან არ უნდა ითანამშრომლო და ვის უნდა ჩაეხუტო, ასე ხაზს არ გავავლებდი“...

პარლამენტის თავმჯდომარე ჩვენი დახმარებით გახდა, ამას გვამადლის მუდამ...

ბიძინა ივანიშვილი დავით უსუფაშვილის შეფასებისას, აცხადებს, რომ მას კვირიკაშვილის მსგავსი არც ერთი თვისება არ გააჩნია.

„უსუფაშვილს არა აქვს მსგავსი თვისებები, რაც კვირიკაშვილს, რაც ჩამოვთვალე. პარლამენტის თავმჯდომარე ისევ ჩვენივე დახმარებით გახდა, ამას გვამადლის მუდამ. კვირიკაშვილმა ყველაფერს საკუთარით მიაღწია. არ მოგვივიდეს ისე, თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო. ზედმეტად გაერთო საზოგადოება და ეძებენ მესამე ძალას...

დღეს „ქართულ ოცნებას“ ალტერნატივა არ ჰყავს. სირცხვილია, რომ 250-300 ათასი კაცი ისევ „ნაციონალურ მოძრაობას“ ელოდება. ისევ ძალადობა უნდათ? ისევ ცოცხებს ელოდებიან?“...

კვირიკაშვილი განიცდის საერთო ფულის თითოეული თეთრის დახარჯვას

ყოფილი პრემიერ-მინისტრი მოქმედს კიდევ ერთხელ დადებითად აფასებს და მოიხსენიებს როგორც პატრიოტს, კარგ ფინანსისტსა და მენეჯერს.

„ქვეყანას მართავს ხალხი, ვისაც ქვეყანა უყვარს, ვინც სამშობლოზე ზრუნავს. გარწმუნებთ, კვირიკაშვილის ძირითადი მოწოდება არ არის საკუთარი სავარძლის შენარჩუნება. ის დიდი პატრიოტია, აქვს უამრავი გამოცდილება, კარგი ფინანსისტი, ეკონომისტი, მენეჯერია. მოკლე დროში აჩვენა, რომ არის მაგარი დიპლომატი. მთელ ევროპას და ამერიკას თავი შეაყვარა, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. უპატიოსნესი კაცია. ერთი მანქანით გადაადგილდება რეგიონებში, განიცდის საერთო ფულის თითოეული თეთრის დახარჯვას. საოცრად მოწესრიგებულია“, — განაცხადა ივანიშვილმა.

◎ გვეხმაურებიან

რამდენ სიბინძურეს უნდა გავუძლოთ გურჯაანელებმა?!

ბატონო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში (31 აგვისტოს ნომერში) გამოქვეყნდა წერილი, რომლითაც საზოგადოებრიობას წარუდგინეთ საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი დავით სონღულაშვილი. ასეთი ახალგაზრდით ყველა ნორმალურ ქვეყანაში იამაყებდნენ. მაგრამ თურმე ყოფილა გამონაკლისიც, და ეს გამონაკლისი, სამწუხაროდ, მაინცდამაინც ჩვენ შეგვეხო.

არჩევნების წინ

№161. ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 2016 წელი.

დავით სონღულაშვილი:

ჩემი ფესვები საქართველოშია გადგმული, სხვა ყველაფერი დამატებითია

დავით სონღულაშვილი

წინასაარჩევნო ქარბორბალით აგაცებულ ვინმეს კახეთზე კაგეგეორული დასკვნების გაკეთების პრეგენზია თუ გაუწნდება, ჯერ ჩავიდეს ამ მხარეში, მიდგეს-მოდგეს, გაიკითხოს და გამოიკითხოს.

შემდეგ თქვას!

პირადად მე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ გიორგი კვირიკაშვილს და ბატონ კახი კალაძეს, რომლებმაც რეკომენდაცია გაუწიეს და გურჯაანის მაჟორიტარ კანდიდატად დაასახელეს ეს განათლებული და უაღრესად წესიერი ახალგაზრდა.

ბატონი დავითი უკვე კარგა ხანია შეხვედრებს მართავს ამომრჩევლებთან და მათ სიყვარულსა და პატივისცემას ღირსეულად იმსახურებს.

მეც ერთ-ერთი იმათგანი ვარ და მაინტერესებს რატომ და რის საფუძველზე მისცა თავის თავს უფლება ცნობილმა კინორეჟისორმა **გიორგი შენგელაიამ** თავისი და თავისი ძმის სახელით აუგად მოეხსენებინა დავით სონღულაშვილი და მისი მამა ბიძინა სონღულაშვილი „ტვ-პირველის“ ეკრანიდან?!

რა უფლებით უქექავთ პირადულს და რა სინდისით აბრალებთ, ბატონებო, ამ ოჯახს შეთხზულ ამბებს? მე პირადად ბატონ ბიძინაზე არასოდეს და არავისგან არ მსმენია, რაიმე სიბინძურეს ახლოს რომ გაჰკარებოდა.

ძვირფასო ძმებო შენგელაიებო, როგორც გამორჩეულ ხელოვან ადამიანებს დიდ პატივს გცემთ, მაგრამ გურჯაანში საქართველოს პარლამენტის წევრად ვის ავირჩევთ, ეგ თქვენი გადასაწყვეტი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება გუჯა გიორგაძეს, რომელსაც ასე მონდომებით ლობირებთ, ყველამ ვიცით, ვინც არის და რასაც წარმოადგენს. აცხადებთ, რომ მაჟორიტარი კანდიდატი ის უნდა იყოსო. ჩვენ არაფერს გვეკითხებით?! გურჯაანელები უგნურები არ ვართ და კარგად ვიცით, ვის მივცემთ ხმას.

გუჯა გიორგაძეს ზურგს ვინ უმაგრებს და ვისგან არის ფრთებშესხმული, ესეც ვიცით, და თუ თქვენი მხრიდან განმეორდება მსგავსი უღირსი საქციელი, ბევრი მტკიცებულება ხელთა გვაქვს და საქვეყნოდ განვაცხადებთ.

უფალს ნუ შესცოდავთ.

საკმაოდ დასჯილები ვართ, გონებას მოვუხმოთ ყველამ და ერთი საძვეყნო საძმე სუფთა ხელებით ვაკეთოთ! ეგეგ, გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო საქართველო!

ციცინო ღვინიაშვილი,
გურჯაანი

გიორგი კვირიკაშვილი სომხეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

სომხეთის რესპუბლიკაში ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გუშინ სომხეთის პრემიერ-მინისტრს ჰოვიკ აბრაჰამიანს შეხვდა. პირისპირ საუბრის დროს ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა საქართველო-სომხეთს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში არსებული თანამშრომლობა განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებს.

პრემიერ-მინისტრებმა გამოხატეს სრული მზაობა, ხელი შეუწყონ ქვეყნებს შორის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას. პირისპირ გამართული შეხვედრის შემდეგ საუბარი გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა. მხარეებმა ეკონომიკის, ენერგეტიკის და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო რეგიონალური მნიშვნელობის პროექტებს. ხაზი გაესვა ქართულ- სომხური მთავრობათაშორისი კომისიის ჩატარების მნიშვნელობას.

◎ აქციები მხოლოდ ჰიარისთვის

ძალად მაცხოვნეთა საყურადღებოდ!

დედაქალაქის ეკოლოგიური პრობლემების „მოგვარებისთვის“ გახმაურებული აქციებისადმი ჩვენი დამოკიდებულება ვრცლად გავაშუქე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2016 წლის 30 აგვისტოს ნომერში. ჩემი და თბილისელთა გარკვეული ნაწილის პოზიციების რეალობის კიდევ ერთხელ გადამოწმების მიზნით „დაუპატიჟებელი სტუმრის“ სტატუსით მიმდინარე წლის 2-4 სექტემბერს რამდენჯერმე მოვინახულე დედაქალაქის „გულშემატკივრების“ ეგრეთ წოდებული შიმშილობის აქცია. იქ სიტყვით გამოსვლა გამართლებულად არ ჩავთვალე, რათა ზოგიერთი ჟურნალისტისთვის არ მიმეცა საღი აზრის გაპამპულავების საშუალება. სამაგიეროდ, გავბედე და აქციის რამდენიმე ორგანიზატორს გულწრფელად გავანდე ჩემი პოზიცია: თუ თქვენ ნამდვილად შეგტკივათ გული დედაქალაქის მწვანე საფარის მოვლა-პატრონობაზე, აჯობებს, თქვენი აქციის მონაწილეების, „ვაკის პარკის ბილიკის მეგობრებისა“ და დედაქალაქის გამწვანების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, შევქმნათ რამდენიმე ბრიგადა და ერთობლივი ძალებით შევუტიოთ დედაქალაქის ყველაზე დიდი სარეკრეაციო ზონის — ვაკის პარკის, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონისა და კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავებისა და გამხმარ-დაავდებული ნარგავებისაგან გამონთავისუფლების პრობლემას.

თითქოს, წინასწარ ჰქონდათ მოლაპარაკება, ყველა მათგანმა ავტორიტეტულად განაცხადა, რომ „ეს არ არის მათი საქმე“!

თქვეკაიდედმამიშვილებო, თუ ეს არ არის თქვენი საქმე და არ გაინტერესებთ, მაშ ვინ გკითხავთ თქვენ, დედაქალაქის მერია ან საკრებულო ვის სად დანიშნავს, ან ვის როდის და რისთვის გაანთავისუფლებს თანამდებობიდან?!

პატივცემულო მოშიმშილეებო, გირჩევთ, თავი დაანებოთ უაზროდ ენერგიისა და დროის ხარჯვას და მიეცით საშუალება ქალაქის ხელმძღვანელობას და თბილისელებს, დინჯად დაასრულონ დაწყებული უდიდესი მასშტაბის პროექტები.

ანზორ ბაბუხადია,
რიგითი თბილისელი

◎ გვეხმაურებიან

გთხოვთ, დაგვიდგათ პრესის გამავრცელებელი ჯიხური!

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონებო,
ბატონო გიორგი!

წინასწარ უნდა გთხოვოთ, რომ ჩვენი გასაჭირი გულთან მიიტანოთ და არსებითი დახმარება გაგვიწიოთ.

რატომ მაინცდამაინც თქვენ გაწუხებთ? გვესმის, ვხედავთ და ვკითხულობთ, რომ ბევრი გაჭირვებულისათვის დახმარება გაგიწევიათ. თქვენ ეს შეგიძლიათ, გეხერხებათ და თქვენს ხასიათშიცაა ალბათ.

მოგმართავთ ასათიანის, მაჩაბლის, ამაღლების, ქიქოძის, იაშვილის, გალაკტიონის, კოჯრის ქუჩებზე მცხოვრები ხანდაზმული პენსიონერების სახელით, ვისთვისაც გაზეთების კითხვა ისეთივე აუცილებელი, სასიცოცხლო მოთხოვნაა, როგორც წყალი, საკვები და ჰაერი.

ასათიანის ქუჩაზე გვყავს ჟურნალ-გაზეთების გამყიდველი კეთილსინდისიერი ქალბატონი მანანა გურგენაშვილი, რომელიც მოდის დილით 8 საათზე და საღამოს 5 საათზე ამთავრებს მუშაობას.

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ 9 საათი ქუჩაში დგომა განსაკუთრებით საცობიან ქუჩაში — მეტად რთული, მით უმეტეს ზამთარში. შარშან ძლივს გაუძლო ამ ქალბატონმა, წელს შეიძლება მიგვატოვოს, რის გამოც ძალიან გაგვიჭირდება თავისუფლების მოედანზე სიარული პრესის შესაძენად.

ადრე მის ადგილზე მამაკაცი იყო, რომელმაც 2 წელზე მეტი ვერ შეძლო ზამთარში ქუჩაში დგომა.

ბატონო გიორგი, უმორჩილესად გთხოვთ, ლ. ასათიანის ქუჩაზე დაგვიდგათ პრესის ჯიხური, პატარა, ლამაზი, ისეთი, როგორიც შეეფერება ჩვენს დედაქალაქს.

პატივისცემით
ხანდაზმული პენსიონერებისა და არა მარტო მათი სახელით,

ნუგზარ ტაბიძე,
პერსონალური პენსიონერი,
საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი,
ასათიანის ქ. №40,
ტელ: 571 51 12 46

ჯემალ ჯალიაშვილი,
პერსონალური პენსიონერი,
გალაკტიონის №23/23;
ტელ: 571 07 42 07

თამარ ჩუგოშვილი: ნაციონალური მოძრაობა არეულობას გეგმავს

„ნაციონალური მოძრაობა“ წინასაარჩევნოდ დაპირისპირებების პროვოცირებას და არეულობის შექმნას გეგმავს — ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრმა თამარ ჩუგოშვილმა განაცხადა.

„საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შედის. ამ დრომდე წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, განსაკუთრებული ინციდენტებისა და დარღვევების გარეშე, რაც აღიარებულია დამკვირვებელი ორგანიზაციების შეფასებებით. ჩვენი პარტიის მიზანია, რომ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ჩაიაროს სწორედ ამგვარ მშვიდ და სამართლიან გარემოში, სადაც ყველა პოლიტიკურ ძალას აქვს შესაძლებლობა, თავისუფალ გარემოში წარმართოს საარჩევნო კამპანია და ამომრჩევლებმა ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ. სამწუხაროდ, ჩვენი ოპონენტების მიზანი სრულიად საპირისპიროა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აგებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებს და რომელსაც არ გააჩნია საზოგადოების მხარდაჭერა, ერთადერთ შანსს ხედავს გარკვეული ტიპის არეულობის შექმნაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დაგეგმილია სხვადასხვა ტიპის დაპირისპირების პროვოცირება ჩვენს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე ან ჩვენს მხარდამჭერ ღონისძიებებზე, ასევე, ორგანიზებული ფორმით დაძაბულობისა და დაპირისპირების შემოტანა წინასაარჩევნო კამპანიაში. ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა საპარლამენტო არჩევნებმა ჩაიაროს მაქსიმალურად მშვიდ ვითარებაში, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ მმართველ პარტიას, არამედ სხვა პოლიტიკურ ძალებს“, — განაცხადა ჩუგოშვილმა.

„არჩევნები ივანიშვილს წაგებული აქვს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს“!..

„ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან შესაძლო პროვოკაციების შესახებ „ქართული ოცნებისა“ და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „ფეისბუქით“ პასუხობს:

„ივანიშვილმა და მისმა მარიონეტებმა დაიწყეს ძახილი, რომ თურმე ჩვენ ვამზადებთ არეულობას. როგორც წესი, ის მოწინააღმდეგეს აბრალებს თავის გეგმებს. ამ სურათზე კარგად სჩანს, როგორ არეულობას ვამზადებთ ჩვენ. არჩევნები ივანიშვილს წაგებული აქვს, რაც არ უნდა მოიმოქმედოს“, — წერს სააკაშვილი.

საღ გაქრა საერთო-სახალხო საკუთრება?

ნაპოლეონ ქარქაშაძე

ბატონო რედაქტორო, ვეხმიანები თქვენი გაზეთის დროულ ინიციატივას, მხარს ვუჭერ მეცნიერთა საორგანიზაციო ჯგუფის მოსაზრებებს და ამ ჭრილში, გთავაზობთ ჩემს ნააზრევს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ.

ფორმაციათა ცვლა მტკივნეული პროცესია, მით უმეტეს თუ მას სპონტანური ხასიათი აქვს. სამწუხაროდ, ამ პროცესს საქართველოც მოუმზადებელი შეხვდა და ქონების გადანაწილებას, რომელსაც თან ახლდა ბანკში არსებული მოსახლეობის ფულადი სახსრების გაუგებარი გაქრობა, საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება მოჰყვა.

საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ორიენტირი მოგებაა, რომელიც ნორმალურ ქვეყნებში უზრუნველყოფს არა მარტო დასაქმებულთა კეთილდღეობას, არამედ აჩქარებს ტექნიკურ პროგრესს, რაც დღევანდელი მსოფლიოს განვითარების აუცილებელი პირობაა. სხვაგვარად, რომ ავხსნათ, წარმოების კაპიტალისტური წესი, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე, აჩქარებს ტექნიკურ პროგრესს, რომელსაც როგორც წესი, წინ უნდა უსწრებდეს საზოგადოების სოციალიზაცია, სამწუხაროდ, საქართველოში პირიქითაა, რაც საზოგადოების განვითარების პროცესს სერიოზულად აფერხებს.

თანამედროვე ტექნოლოგიები, ადამიანებს შესაძლებლობას აძლევენ, უმოკლეს დროში გადაჭრან ურთულესი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემები. ტექნიკურმა პროგრესმა დააჩქარა საზოგადოების განვითარების პროცესებიც. გამოიკვეთნენ ადამიანები, რომლებიც განვითარების ინდექსით სხვებზე მაღლა დგანან, რამაც საზოგადოების დიფერენციაციაც გამოიწვია, ეს პროცესი საქართველოშიც მიმდინარეობს.

დღეისთვის ეკნომიკურ-სოციალური განვითარების ძირიათადი მექანიზმი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესია. ამ დროს ყალიბდება აგრეთვე სრულიად ახალი საწარმოო ურთიერთობები, რომელშიც დომინანტი განათლებული საწარმოო ძალა ხდება. ტექნიკური მიღწევების პარალელურად მძაფრდება კლასობრივი დაპირისპირებები და ამ ფონზე მიმდინარეობს საზოგადოების განვითარების შეუქცევადი პროცესიც. ჩვეულებრივი ადამიანების ძირითადი საზრუნავი სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაა და ამ ფონზე მიმდინარეობს ადამიანების შეგნების ფორმირებაც, რაც საზოგადოების სოციალიზაციის აუცილებელი პირობაა. დღევანდელ საქართველოში ჯერ კიდევ მიმდინარეობს იმის გარკვევა, თუ რა საზოგადოებას ვაშენებთ? ვერ გაგვირკვევია, თუ რა პროცესები აფერხებენ ქვეყნის განვითარებას, სამწუხაროდ, საქართველოს განვითარების პერსპექტივა იმდენად ბუნდოვანია, რომ არ ექვემდებარება რეალურ შეფასებას და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მიახლოებითი პარამეტრების დადგენაც კი!

გეოგრაფიულ საზღვრებში ქვეყნის განვითარების ეფექტურობას განსაზღვრავს წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, იგი საწარმოო პროცესებში საზოგადოების ჩართულობას და ქვეყნის მმართველობის ეფექტიანობის მაჩვენებელიცაა.

ეკონომიკაში მიღებული პარამეტრებით, თუ ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი, საზოგადოების მოთხოვნილების მხოლოდ 60-65%-ს აკმაყოფილებს, ასეთი ქვეყნის განვითარება და დამოუკიდებლობაც უკვე საგანგაშოა.

საქართველოში წარმოებული პროდუქცია კი... მხოლოდ 25-30 პროცენტით აკმაყოფილებს მოქალაქეების მოთხოვნილებებს, ასეთ ვითარებაში დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც პრობლემურია და უცხო ქვეყნებზე მისი დამოკიდებულება შეუქცევადი ხდება.

ცხადია, წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოლიტიკაც წარმატებულია და ეს კანონზომიერი პროცესია. სამწუხაროდ, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებით საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკაც წარუმატებელია. როდესაც უმუშევრობა პიკს აღწევს!... ცხადია, ამ დროს საზოგადოების პოლიტიზებაც მაქსიმალურია, ქვეყანაში არსებული ქაოსური სიტუაცია არ იძლევა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საშუალებას. იგი ბუნდოვანი და კრიმინალიზებულია, ეს კი საშიში ტენდენციაა.

როგორც ითქვა, საზოგადოების მსოფლიოს ვადაში შეძლეს ადამიანების იძულებითი სოციალიზაციაც და ცხოვრების ამ წესმა იმდენად მყარად გაიდგა ფეხი, რომ მისი შეცვლა, პოსტსაბჭოთა სივრცეში საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ამის შედეგია ისიც, რომ დღევანდელი საქართველო ქაოტურ მდგომარეობაშია.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის დღემდე აუხსნელია ქონების გადანაწილების პროცესები, რომლის შედეგადაც, გაურკვეველი საქმიანობის ადამიანებმა უპრობლემოდ ჩაიგდეს ხელში ის უზარმაზარი სიმდიდრე, რასაც კომუნისტების დროს „საერთო-სახალხო“ საკუთრება ერქვა. ამ პროცესმა, ქართველი საზოგადოება ორ ნაწილად გაყო: მქონებლად და არაფრის მქონედ, ანუ მდიდრებად და ღარიბებად. პირველი სარგებლობს ყველა ცხოვრებისეული

ლმხედველობისა და სოციალიზაციის განმსაზღვრელი წარმოებაა, კერძოდ, ახლად შექმნილი პროდუქციის მოცულობა და მისი სწორი გადანაწილება. აქედან გამომდინარე, საზოგადოების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების ორიენტირიც წარმოებაა, რომელიც საქართველოში სამწუხაროდ, ჩანასახ მდგომარეობაშია...

ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის იდეოლოგია და მსოფლმხედველობა, წარმოების სოციალისტური სისტემის პირობებში ჩამოყალიბდა, რომლის ფუნდამენტური დებულება წარმოების საშუალებებზე, მ. შ. მიწაზეც, საერთო სახალხო საკუთრებაა. ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში გაჟღერებულმა ლოზუნგმა „მიწა – გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მუშებს“ – თავიდან კარგად „იმუშავა“, თუმცა საბოლოოდ ამ ლოზუნგმა ვერ გაამართლა, რასაც საზოგადოებრივი აზრის დეფორმაცია მოჰყვა, ეს კი სისტემის კრახის დასაწყისი იყო.

დროთა განმავლობაში კომუნისტური საზოგადოების ლოზუნგები სიცრუის სიმბოლოდ იქცა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ კომუნისტური სახელმწიფო ერთ-ერთი უძლიერესი ყოფილიყო მსოფლიოში?!

სოციალიზმის დროს მიუღებელი იყო კერძო საკუთრება, ფუფუნება ცხოვრების მანკიერ წესად ითვლებოდა. ადამიანები შეეგუენ ცხოვრების ასეთ წესებს, რაც მოგვიანებით საზოგადოებრივი აზროვნების მედგრობაშიც გამოვლინდა.

მაშინ ადამიანების ღირსების განმსაზღვრელად სოციალისტური პატრიოტიზმი ითვლებოდა, თავგანწირვა, შრომითი გმირობა მოქალაქეობრივ სრულყოფად აღიქმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება უტოპია იყო და ამას უკვე ბევრი აცნობიერებდა, მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი კომუნისტური იდეის მიმდევარი იყო! კომუნისტებმა უმოკსიკეთით, მეორე ყოველივე ამას მოკლებულია, საშუალო კი თითქმის არ არის.

ასეთ ვითარებაში კომუნისტურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მენტალიტეტის შეცვლა ძნელი აღმოჩნდა. პირიქით, მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. სამწუხაროდ, ადამიანებს სოციალისტური ცხოვრების ნოსტალგიაც კი გაუჩნდათ და ამის მიზეზი ის იმედგაცრუებაცაა, რომელსაც ხელი არაკომპეტენტურმა, მაგრამ ე. წ. „დემოკრატიული“ წესით არჩეულმა ხელისუფლებებმაც შეუწყო.

აქედან გამომდინარე, საშუალო და წინა თაობებმა, რომლებიც წარმოებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურ სისტემაში ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ, ძნელად ან საერთოდ ვერ აუღეს ალღო საბაზრო ეკონომიკას და ამის მიზეზი გაუგებარ ვითარებაში გამქრალი ე. წ. „საერთო-სახალხო“ საკუთრება და თაობების მიერ შექმნილი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა. საზოგადოების დიდ ნაწილს ბუნდოვანი წარმოდგენაც კი არა აქვს საბაზრო ეკონომიკაზე, ალბათ იმიტომ, რომ მისი დამკვიდრება, საზოგადოებისთვის გაუგებარი მეთოდებითა და ფორმებით დაიწყო. სავალალოა ისიც, რომ არავინ იზრუნა პროცესების წინასწარ მომზადებასა და უმტკივნეულოდ ჩატარებაზე, რათა ადამიანებს შედარებით იოლად გადაეტანათ სოციალისტური ფარმაციიდან „უკან დაბრუნების“ ალოგიკური პროცესი. საზოგადოებაში ჯერაც არაა შესაბამისი იდეოლოგია, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალ პირობებთან ადამიანების სოციალიზაციას, რომელიც ეკონომიკის მდგრადი განვითარების წინაპირობაც გახლავთ.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ მყარადაა გამჯდარი ცხოვრების სოციალისტური წესი, საერთო-სახალხო საკუთრების იდეოლოგია და სხვა – რომლებსაც ე. წ. დემოკრატიულმა ხელისუფლებებმა, გარდა დემაგოგიისა, ჯერჯერობით ღირებული ვერაფერი დაუპირისპირეს.

ახალმა რეალობამ ადამიანები საკუთარ თავთან მარტო დატოვა. მათ არ ძალუძთ იმ პრობლემების დაძლევა, რომლებიც ცხოვრების ახალმა წესმა დაამკვიდრა. დღეს, როდესაც არავითარი ღირებულება აღარ აქვს ადამიანის გამოცდილებას, კვალიფიკაციას, განვლილ გზას და მის ცხოვრებას სხვები განკარგავენ, ადამიანების ნიჰილიზმი საყოველთაო გახდა, ყოველივე ამან ფაქტობრივად გაანულა საზოგადოების აქტიურობის კოეფიციენტი. ცხადია ასეთ პირობებში ადამიანების პერსპექტივაც გაურკვეველია. სამწუხაროდ, მათ სტიქიურად ჩამოუყალიბდათ საკუთარი ხედვა არსებულ მდგომარეობაზე, რაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება და აძლიერებს საზოგადოებაში არსებულ უკმაყოფილების მუხტს, რასაც ხშირად პოლიტიკური გამოსვლები და შეტაკებები მოჰყვება. ცხადია, ყოველივე ეს ხელს უშლის ქვეყნის ნორმალიზაციას და წინსვლას.

ქვეყნის აღორძინებას სოციალურად და პროფესიულად მომზადებული ადამიანები ჭირდება, რომელთათვისაც შრომა მარტო ფიზიკური მოთხოვნილება კი არა, საზოგადოებრივი მოვალეობაცაა. ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა. თავისი შრომის შედეგები და ცხადია, შრომის ანაზღაურებაც. მათი ბუნებრივი მოთხოვნაა, გაერკვეს არა მარტო ახალ შრომით საწარმოო ურთიერთობებში, არამედ მონაწილეობა მიიღოს ამ ურთიერთობების ჩამოყალიბებაშიც.

ძველი თაობისგან განსხვავებით, ახალი თაობისათვის სოციალიზაციის პროცესები შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ამაში მათ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებიც ეხმარება. დღევანდელ თაობას, დაუბრკოლებლად შეუძლია გაერკვეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში. იგი მიმდინარე გლობალიზაციის თანამონაწილეც ხდება, რასაც სამწუხაროდ, ვერ „ახერხებენ“ წინა თაობები.

ახალგაზრდებმა ალღო აუღეს იმ ურთიერთობებს, რომლებიც მკვიდრდება ქვეყანაში, კერძოდ მეწარმესა და დასაქმებულებს შორის. ისწავლეს მენეჯმენტიც, მარკეტინგიც, სხვა ეკონომიკური და პოლიტიკური ტერმინები, ამიტომაც ახალ პირობებთან მათი ადაპტაციაც შედარებით უმტკივნეულოა.

მიუხედავად ამისა, უშუალოდ საწარმოო პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობა 10-15 პროცენტს არ აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საქართველოში, წარმოების ძირითადი ტვირთი ისევ ძველ, კომუნისტებისდროინდელ თაობაზე მოდის. თუმცა, როგორც ითქვა, ახალ პირობებთან მათი სოციალიზაცია ჯერ კიდევ ვერ შედგა, ძველი მსოფლმხედველობით მუშაობა კი სასურველ ეკონომიკურ შედეგს ვეღარ იძლევა.

სამწუხაროდ დღევანდელ საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მსოფლმხედველობა – ძველი და ახალი, სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქართველი საზოგადოების კონსოლიდაცია ჯერ კიდევ პრობლემურია. ერთ მხარეს არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ სოციალისტურ სისტემაში და დღესაც ძველი იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და მეორე მხარეს – ახალგაზრდობა, რომელიც ახალ რეალობასთან შეგუების პროცესშია და ახალ ეკონომიკურ პირობებში თავის დამკვიდრებას ცდილობს.

ახალი საზოგადოების ფორმირების პროცესი რთულია. ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, მუდმივად იზრუნოს საზოგადოების მომზადებისათვის ახალი ცხოვრების დასაწყებად. სამწუხაროდ, ხელისუფლებებმა ჯერჯერობით ასეთი მექანიზმის მოდელიც კი ვერ შექმნეს.

ახალი აზროვნების ჩამოყალიბება უნდა მოხდეს მეცნიერთა დახმარებით. სამწუხაროდ, ამ მეტად სეროზულ ბერკეტს ნაკლებად იყენებენ.

იმედია, დროთა განმავლობაში ქართული საზოგადოებაც შედგება. წარსული ცხოვრებისაკენ ყურება დროებითია, ის თაობაც წავა, რომელსაც ძველის ნოსტალგია დღემდე შემორჩა. მომავალი ევროპულ ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას და ეს კანონზომიერიცაა. წარსულისაკენ ყურება არაპერსპექტიულია, ამიტომ ძველმა თაობამაც უნდა დაძლიოს წარსულის ნოსტალგია და ხელი არ შეუშალოს ახალ თაობას. მხოლოდ შეკავშირებული ერი შეძლებს ახალი ცხოვრების აშენებას და ეს პერიოდიც დადგება, როდის? ამას განსაზღვრავს საზოგადოების სოციალიზაცია, რაც აუცილებლად მოხდება.

ნაპოლეონ ქარქაშაძე,
აკადემიკოსი

„ქართული ოცნება პრორუსული პროექტიაო, ამას ქართველი მოსახლეობისთვის არ ამბობდა „ნაციონალური მოძრაობა“, ამბობდა დასავლეთისთვის. იმ დასავლეთისთვის, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ ორიენტაციაში შეეპარა ეჭვი“, - აცხადებს FOR.GE-სთან საუბრისას ექსპერტი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, დღეს უკვე ნაციონალებისგან დასავლეთისთვის ამ ფრაზის თქმას, აზრი ეკარგება.

ფსიქოლოგი და ექსპერტი რამაზ საყვარელიძე დღეს ჩვენი სტუმარია.

რამაზ საყვარელიძე:

„ოცნების“ უნიათობის შედეგია ნაციონალების მყარად ყოფნა სამეგრელოში

— ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, თუ რამე იყო პრორუსული, ეს იყო სააკაშვილის ქმედება. ივანიშვილი თვლის, რომ რუსეთთან კრიზისი არ უნდა გაემწვავებინა და სამხედრო ტექნიკა არ უნდა გამოეყენებინა. როგორ ფიქრობთ, დაგვიანებული არ არის სააკაშვილისა და რუსეთის კავშირებზე საუბარი დღეს? როდესაც ექსპერტები საუბრობდით ამ კავშირებზე, მმართველი ძალის მხრიდან არ იყო მხარდაჭერილი...

— ომის შემდგომი პერიოდიდან სულ ვამბობდი, რომ მოქმედებების მხრივ სააკაშვილის პოლიტიკა რუსული პოლიტიკის გაგრძელებაა. მისი მოქმედება ეხმიანებოდა და სინქრონული იყო რუსულ პოლიტიკასთან, არც ერთ პუნქტში არ მოდიოდა წინააღმდეგობაში, გარდა ერთისა, როცა იძახდა ხან ლილიპუტინს და ხან იმას, რომ დაპირისპირებულია პუტინთან. ამ დროს კი, ეს ანტირუსული რიტორიკაც რუსულ წისქვილზე ასხმადა წყალს, იმიტომ, რომ რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში ინვესტიციებს რუსეთის გარდა სხვა არავინ ახორციელებდა.

რამდენად გაუხსნა კარი სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსულ ინვესტიციებს, ეს კიდევ ცალკე თემაა, რომელიც სამწუხაროდ, იმხელა ყურადღებას არ იმსახურებს, როგორც ომი. არადა სამხრეთ ოსეთში შეჭრა და რუსული ბიზნესისთვის კარის გაღება მთლიანობაში იკითხება. სწორედ იმიტომ, რომ საომარი ოპერაციის შემდეგ დასავლეთის კაპიტალი აქ არ შემოვიდოდა, სასწრაფოდ გაეხსნა კარი რუსულ კაპიტალს.

— მით უმეტეს, ცნობილი ფაქტია, რომ პუტინის პოლიტიკა აწყობილია ბიზნესზე...

— რასაკვირველია. ის ცდილობს ენერგეტიკული და ბიზნეს-სტრუქტურებით შევიდეს იქ, სადაც ადრე ტანკით შედიოდა, რაც ადრე განაცხადა კიდეც. ამის მცირე მოდელი გათამაშდა საქართველოში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აქ ჯერ ტანკითაც შემოვიდა და ამ ტანკებით გასუფთავებულ ფონზე უკვე ბიზნეს-სტრუქტურებით ისე, რომ კონკურეტი არ ყოფილიყო.

ამ ჭრილშიც თუ შევხედავთ, ვფიქრობ, კიდევ უფრო დამაჯერებელი იქნება ის ფაქტი, რომ თუკი ვინმე ატარებს რუსულ პოლიტიკას, ატარებს „ნაციონალური მოძრაობა“. ერთადერთ შენიშვნას გავუკეთებდი ივანიშვილის ამ ფორმულას — ეს ითქვა გვიან და ეს ეხება მთელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, რომლებიც თავს არიდებენ „ნაციონალური მოძრაობის“ ამ ჭრილში შეფასებას. ანუ, ნაციონალების ურთიერთობას რუსულ პოლიტიკასთან.

— როგორ ფიქრობთ, რატომ არიდებენ ამ ჭრილში „ნაციონალური მოძრაობის“ შეფასებას ოპონენტები?

— პოლიტიკური თავმოყვარეობის გამო. ეტყობა, მძიმე გადასატანია ის, რომ ქვეყნის პირველი პირი და მთავარი პოლიტიკური პარტია ანტირუსული სცენარით მუშაობს. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს საკითხი ადრეც უნდა დამდგარიყო, მაგრამ თუ ახლა დგება, სასურველია, რომ უფრო ფართო სპექტრით გაანალიზდეს.

— აშკარაა, რომ 2012 წლის საარჩევნო პერიოდთან შედარებით, „ნაციონალური მოძრაობის“ რიტორიკაში შემცირებულია ბრალდება, რომ ხელისუფლება არის პრორუსული ძალა. ამის მიზეზი არის დასავლელი ლიდერების საუბრები სააკაშვილ-რუსეთის ურთიერთობებზე?

— მეც ასეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ შემცირებულია ბრალდება. მიზეზებს რაც შეეხება, თქვენს ვერსიას აქვს ლოგიკური საფუძველი, იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ პრორუსული პროექტიაო, ამას ქართველი მოსახლეობისთვის არ ამბობდა „ნაციონალური მოძრაობა“, ამბობდა დასავლეთისთვის, იმ დასავლეთისთვის, რომელსაც „ნაციონალური მოძაობის“ პოლიტიკურ ორიენტაციაში თავად შეეპარა ეჭვი. ამიტომ, ნაციონალებისგან დასავლეთისთვის ამ ფრაზის თქმას, აზრი ეკარგება.

ფაქტები ზედაპირზე დევს — „ქართული ოცნების“ პირობებში დასავლეთისკენ მოძრაობა არ შემცირებულა, პირიქით, ინტენსიური გახდა. ძნელია ხელისუფლების საგარეო კურსის ცვლილებაზე ლაპარაკი (რაც თავის დროზე ალასანიამ გააკეთა, როცა გაბრაზებული იყო „ქართულ ოცნებაზე“ და ფაქტიურად, ამ ფორმულით მხარი აუბა „ნაციონალურ მოძრაობას“), იმ საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების ფონზე, რომელიც „ოცნების“ ხელისუფლების პერიოდში გადაიდგა. ვფიქრობ, ეს ფაქტორიც მოქმედებს, გარდა იმისა, რაც თქვენ ბრძანეთ და გეთანხმებით, რომ დასავლეთის პოლიტიკის ცვლილებებიც, ალბათ, გავლენას ახდენს ამ რიტორიკაზე.

— ანუ, დასავლეთისთვის აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ არის პრორუსული? სწორედ „პრორუსულობა“ იყო მიზეზი თავდაპირველი დისტანცირების...

— დასავლეთი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, პრაგმატული მხარეა. ეს ეხება ევროპასაც და ამერიკასაც. თუ ის ხედავს, რომ პროცესი იმ მიმართულებით მიდის, რა მიმართულებაც მისთვის უფრო ხელსაყრელია, გულში ვინ რას ფიქრობს, ეს არ აინტერესებს. მას ანალოგიური დამოკიდებულება ჰქონდა მიშა სააკაშვილთან. თუ პროდასავლური კურსით წაიყვანდა ქვეყანას, გულში რას ფიქრობდა, არ აინტერესებდა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ უნდა დაინტერესდე იმით, ვინ რას ფიქრობს გულში. იმიტომ, რომ როდის ამოტივტივდება ეს ნაფიქრი და რაში გამოიხატება დამალული იდეა, არავინ იცის. ამ შემთხვევაშიც დასავლეთი კმაყოფილია იმით, რომ საქართველო პროდასავლური კურსით ვითარდება.

— რაც შეეხება პრორუსული განწყობის გაძლიერებას, ეს აშკარად იგრძნობა კონფლიქტისპირა რეგიონებში. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ამომრჩეველი ერთდროულად მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილს და რუსეთს. პარალელურად „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლები ღიად საუბრობენ, რომ აფხაზეთის ომის დროს ივანიშვილი იარაღით ამარაგებდა სეპარატისტებს და რუსებს. ეს რა სტრატეგიაა, როდესაც ივანიშვილის პროპრუსულობაზე არ არის აქცენტი, მაგრამ აქცენტია აფხაზეთის ომში მის როლზე?

— ეს ის საკითხია, რომელიც მთელი საქართველოსთვის მტკივნეულია და განსაკუთრებით სამეგრელოს მოსახლეობისთვის. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კარგად იცის, რომ საზოგადოება, ხალხი დიდი ლოგიკით არ გამოირჩევა, მას სურვილები აქვს და შეიძლება ურთიერთგამომრიცხავი სურვილებიც ჰქონდეს და ორივე უნდოდეს.

„ნაციონალური მოძრაობა“ მზად არის ორ ურთიერთგამომრიცხავ სურვილზე უთხრას თანხმობა, ოღონდ, სამეგრელოს მცხოვრებლების გულში მოიპოვოს უპირატესობა. მათი მთავარი ამოცანაა, ნებისმიერი მეთოდით ივანიშვილის დამარცხება, მათ შორის იმ მეთოდით, რომ აფხაზეთის ამბავში ჩასვან ამ როლში.

მაგრამ თავისთავად გასაკვირია, რაში სჭირდებოდა აფხაზებს და რუსებს ივანიშვილის მეირ იარაღით მომარაგება, აკლია რუსეთს იარაღი?

— „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიას თუ გადავხედავთ, ნაკლებად არის საუბარი დასავლეთთან ორიენტაციაზე, ეს აშკარად შეიმჩნევა დასავლეთ საქართველოში. რატომ?

— ამ დროს ამბობენ, რომ დასავლეთზე ორიენტირებული ვართო. რატომ? — იმიტომ, რომ აწყობთ დასავლური ორიენტაციის დამცველად არ გამოვიდნენ ამომრჩევლის ამ ნაწილში და არც გამოვლენ. როგორც ჩანს, სამეგრელოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“ უჭერს, საკაშვილს და რუსეთს ერთმანეთისგან არ გამორიცხავს. შეიძლება ხალხის ინტუიცია აქ უფრო სწორი იყოს, ვიდრე პოლიტიკოსის.

— მაგალითად, იგივე ფოთში დევნილთა დასახლებაში სააკაშვილის და ბურჭულაძის ფოტოები აქვთ მოსახლეობას სახოვრებელი სახლის ფანჯრებთან გამოკრული. აშკარად იკვეთება, რომ მმართველ პოლიტიკურ ძალას ადგილზე არ აქვს ძლიერი პროპაგანდა, ეს არ არის „ქართული ოცნების“ ნაკლი?

— რა თქმა უნდა, მმართველი ძალის შეცდომაა და ნეტა, მარტო ამაში იყოს გამოხატული. ანეკდოტია ნაციონელების ძახილი უნიათობასთან დაკავშირებით, სწორედ ნაციონალების წისქვილზე ასხამს წყალს ამათი უნიათობა. ამათი უნიათობის შედეგია ნაციონალების მყარად ყოფნა დასავლეთ საქართველოში. ბევრ პრობლემას აჩენს „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გამოუცდელობა, თუ პოლიტიკური სიზარმაცე ბევრ საგანში და მათ შორის სამეგრელოს სცენარში.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ოთარ დანელიამ შემაჯამებელი ანგარიში წარადგინა

150 ახალი და 700 გაფართოებული საწარმო, 1 611 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში დაზღვეული 23 677 ჰექტარი მიწის ფართობი და ა.შ, - ოთარ დანელიამ დღეს სოფლის მეურნეობის მინისტრის რანგში ბოლო, შემაჯამებელი ანგარიში წარადგინა.

მინისტრმა, ანგარიშის პრეზენტაციისას, დეტალურად ისაუბრა სამინისტროს მიერ განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე და აღნიშნა, რომ დარგში პოზიტიური მაჩვენებლები სახელმწიფოს სწორი პოლიტიკის დამსახურებაა.

ოთარ დანელიას სწორი მენეჯმენტის შედეგად მიღწეულია სერიოზული შედეგები, - ასე შეაფასა ანგარიში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და მინისტრთან ერთად, ყველას, ვინც დღემდე ამ მიმართულებით წარმატებაში მიიღო მონაწილეობა, მადლობა გადაუხადა.

კორცხელში დაპირისპირების მოლოდინი არ იყო!

კორცხელში მომხდარი დაპირისპირების შესახებ შს სამინისტროში კიდევ ერთი განცხადება კეთდება. მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი ამბობს, რომ პოლიციისთვის მოულოდნელი იყო მომხდარი დაპირისპირება, რის გამოც ადგილზე პოლიციის სათანადო მობილიზება ვერ მოხერხდა.

,,კორცხელის ინციდენტი იყო სპონტანური აქცია, იმის გამო, რომ წინასწარი მოლოდინი ამის არ იყო, პოლიციის სათანადო ძალები ადგილზე არ იყვნენ, რამაც გამოიწვია პრობლემა. თუმცა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გვექნება შესაბამისი მზადყოფნა შესაბამისი რეაგირებით,“ — აცხდებს ხუციშვილი.

თხუთმეტი წლის წინათ...

ნოიენჰამის „საკონცენტრაციო ბანაკ-მემორიალის“ არქივის დირექტორს, ბატონ ჰერბერტ დირქსს: „მოგახსენებთ, რომ მოქალაქე ლოგუა ბაგრატ ივანეს ძე, დაბადებული 1922 წელს, მცხოვრები ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში გაიწვიეს 1942 წლის 9 იანვარს. მონაწილეობდა რა დიდი სამამულო ომის დროს წარმოებულ ბრძოლებში, 1942 წლის 25 ივნისს ქ. სევასტოპოლის შემოგარენში მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. იგი იმყოფებოდა ქალაქ პოროლის, შემდგომ ქალაქ ნიკოლაევის საკონცენტრაციო ბანაკებში. ტყვეობიდან თავის დახსნის შემდეგ მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში, იგი კვლავ ჩავარდა ტყვედ და ამჯერად გადაყვანილი იქნა გერმანიაში ქ. ნოიენჰამის, ქ. გურლიცესა და ქ. კიოლნის საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც მას მეტად მძიმე ფიზიკურ სამუშაოებზე იყენებდნენ.

1945 წლის აპრილში ბაგრატ ლოგუა მოკავშირეთა არმიის მიერ განთავისუფლებული იქნა ტყვეობიდან.

1945 წლის ივნისში იგი რეპორტირებული იქნა საბჭოთა კავშირში, სადაც მას კვლევები ჩაუტარდა ე. წ. საფილტრაციო ბანაკში „კუიბიშევქვანახშირში“, აქ მიიღო მძიმე ტრავმა, რის შემდეგაც ჩაუტარდა ფეხის ამპუტაცია.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის არქივიდან ამოღებულ მონაცემებს ბეჭდითა და ხელმოწერით ადასტურებს განყოფილების უფროსი

ი. მირონოვი.

ნოიენჰამის საკონცენტრაციო ბანაკიდან – საქართველოში

ქალაქ ნოიენჰამში, კიოლნში და გერლიცეში გერმანელ ფაშისტთა მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის არდასავიწყებლად (ამ საკონცენტრაციო ბანაკებში მილიონობით ადამიანი აწამეს, სამედიცინო ექსპერიმენტებისთვის გამოიყენეს და ამოჟლიტეს), ამჟამად მუზეუმ-მემორიალებია გახსნილი. მიუხედავად იმისა, რომ იქ მოხვედრილ ვიზიტიორს დღესაც ზარავს იმ საშინელებათა ხილვა ფოტოებისა და კინოკადრების სახით, მაინც ასიათასობით ადამიანი სტუმრობს „ჯოჯოხეთის ბანაკებს“. იყიდება ბუკლეტები, წიგნები, ვიდეოკასეტები, რომლებშიც აღბეჭდილია ყველა ის საშინელება რაც ფაშიზმმა, გერმანულმა ფაშიზმმა დამართა ევროპას. მოდიან ომის ვეტერანები, ტყვეობა გამოვლილნი, ვინც საკუთარ თავზე იწვნია ეს საშინელება, მოჰყავთ ოჯახის წევრები, შვილიშვილები – ამის დავიწყება არ შეიძლება, რათა ეს აღარ განმეორდეს.

ზემოთ მოყვანილი წერილი, რომელსაც უშიშროების მაღალჩინოსანი ბატონი მირონოვი ნოიენჰამის ბანაკ-მემორიალის დირექტორს, ბატონ ჰერბეტ დირქსს უგზავნის ათასობით ყოფილი სიკვდილმისჯილის და ბანაკების მსხვერპლთა საქმეებიდან ერთ-ერთია, რომელიც გერმანიის მთავრობამ გამოითხოვა ევროპის ყველა ქვეყნიდან, რათა პატივი მიეგოთ გარდაცვლილთა ხსოვნისათვის, ხოლო თუ ვინმე იყო ცოცხალი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ორმოცდათხუთმეტი წლის შემდეგ მათთვის კომპენსაცია გაეწია და, თუმცა ფაშიზმს ეროვნება არ გააჩნია, ბოდიში მოეხადა მათთვის თავისი თანამემამულეების მიერ ჩადენილი ბოროტებისთვის.

ბაგრატ ლოგუა ბიძაჩემი იყო. დედაჩემის ხუთი ძმიდან სამი სამამულო ომში იბრძოდა (ორი მცირეწლოვანი გახლდათ, თორემ ისინიც თავიანთი ძმების გვერდით დადგებოდნენ). არასოდეს ბიძაჩემს ომის საშინელებებზე არ მოუყოლია. იგი ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ დაუბრუნდა ოჯახს. გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკების შემდეგ, საბჭოეთის ე. წ. ფილტრაციის ბანაკშიც მოუხდა ჯდომა და რომ არა მიღებული ტრავმა, იქაც კარგა ხანს აყურყუტებდნენ. გვიან შექმნა ოჯახი, ოთხი ვაჟკაცი გაზარდა, მოესწრო შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს, მაგრამ ომის საშინელებებზე სიტყვაც არ დასცდენია.

დღეს...

დღეს, და ხვალ საღამოს საქართველოს ტელეარხებზე „იმედსა“ და „GDS“-ზე ქართველ მაყურებელს შესაძლებლობა ექნება, ნახოს მრავალსერიიანი ფილმი „Heroკრატია“, რომელიც შესანიშნავმა რეჟისორმა **გოგა ხაინდრავამ** გადაიღო. ეს ფილმი ქართველ ფაშისტთა სისასტიკეზეა გადაღებული, რომელიც ბევრად არ ჩამოუვარდება გერმანელ ფაშისტთა მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს. ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი რეჟიმი, რომელმაც ასიათასობით ადამიანი, თავისი თანამემამულე, ციხეებში, იგივე საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდია, სასტიკად აწამა, დაასახიჩრა, სულში ჩააფურთხა, მამაკაცები გააუპატიურა, ასობით ადამიანი დახოცა, პატიმარ ქალებს საშვილოსნოები ამოჭრა, პატიმრების ორგანოებით ივაჭრა და გერმანელი ფაშისტებისაგან განსხვავებით არ გასამართლებულა, უარესიც, ისინი კვლავ ინარჩუნებენ თანამდებობებს, არჩევნებში ღებულობენ მონაწილეობას, ქედმაღლურად გვასწავლიან ჭკუას, იმუქრებიან, განაგრძობენ ადამიანთა სულში ჩაფურთხებას და თავიანთ ყოფილ მსხვერპლთ, ქართველ ხალხსა და პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიო საზოგადოებას ბოდიშსაც არ უხდიან. ისინი დღესაც ტკბებიან იმ საშინელი კადრების ხილვით, რომელიც მათი მმართველობის დროს იყო გადაღებული, დღესაც ცხოვრობენ თავიანთ მსხვერპლთა უკანონოდ ჩამორთმეულ ბინებში, განცხრომაში არიან ნაძარცვი ქონებით, ესწრებიან მსოფლიო ფორუმებს, ჩვენგან მითვისებული მილიონებით ჩართულნი არიან ბიზნესში და კარსმომდგარ არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვთ. ეს ხდება ოცდამეერთე საუკუნეში... ოცდამეერთე საუკუნეში, როცა ცივილიზებულ ქვეყნებში კატების, ძაღლების, ფრინველთა და ქვეწარმავალთა დაცვის ორგანიზაციები არსებობს.

უნდა გადაიღო თუ არა გოგას ეს ფილმი?

ისევ გერმანულ ფაშიზმს მივუბრუნდები. ჩემს ბიბლიოთეკაში მაქვს ისეთი წიგნები, რომლებიც ყოველდღე თუ არა, კვირაში ერთხელ მაინც რამდენიმე გვერდის გადაკითხვით სიამოვნებას მანიჭებენ, მაგრამ მაქვს ისეთი წიგნებიც, რომელთა გადაფურცვლა მზარავს. მზარავს მაგრამ საჭიროა, რომ მქონდეს. საჭიროა, ყველას ჰქონდეს ოჯახში, თუნდაც იმიტომ, რომ ანტიქრისტეს მოციქულებმა ნელნელა არ შემოაღწიონ შენს სულში – **„ნიურნბერგის პროცესი“** (რუსული გამოცემა ხუთ ტომად), **„ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკი“** (გერმანულ, რუსულ და პოლონურ ენებზე, სხვადასხვა წლების გამოცემები), **„დაჰაუ“** (გერმანული გამოცემა), **„ფაშიზმის ისტორია“, „წმინდა რომის ინკვიზიცია“** და სხვა. გამოცემები იმიტომ მივუთითე, რომ ჯერ კიდევ ორმოციანი წლების მიწურულიდან მოყოლებული, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, გასამართლდა ფაშიზმი და ბევრს საკადრისიც მიეზღო, თავად გერმანელმა ხალხმა გადაწყვიტა, მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ ის საშინელებები, რაოდენ მძიმე სანახავიც არ უნდა ყოფილიყო, რაც მათმა თანამემამულეებმა ცივილიზებული მსოფლიოს წინაშე ჩაიდინეს. ამით ისინი გაემიჯნენ ბოროტებას, ბოდიში მოიხადეს მსოფლიოს წინაშე (ნაცმოძრაობის სექტისგან განსხვავებით) და შთამომავლობას აჩვენეს თუ როგორ არ უნდა იცხოვრო.

რამდენიმე დღის წინათ ბატონი გოგა ხაინდრავა ერთ-ერთ ტელევიზიაში ახალ ფილმზე მსჯელობდა. ერთი მომენტი არ დამავიწყდება ამ გადაცემიდან, გოგა ამბობს: – **ჩემს ფილმში ერთ-ერთი ჯალათის როლს შესანიშნავი მსახიობი ასრულებს, როდესაც მისმა თექვსმეტი წლის ვაჟმა ჰკითხა – მამი, ასეთი როლი რატომ ითამაშეო, მან უპასუხა, იმიტომ რომ შენ და შენი მეგობრები ასე არ მოიქცეთ და თქვენც ასე არ მოგექცნენო.** როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა ყელში ბოღმის გორგალი გაეჩხირა და ცრემლი ვერ შეიკავა. გოგა ხაინდრავა პირველად ვნახე ცრემლმორეული.

ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, რომ განადგურებულიყო ის უამრავი ვიდეოფაილი, რომელიც სამალავებში დარჩათ ნაციონალებს, ანდაც... სპეციალურად დატოვეს (გარდა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებისა). რაოდენ საშინელიც არ უნდა იყოს სანახავად, ის მაინც არქივში უნდა იყოს. სწორედ იმისთვის, რომ ჩვენი შვილები არ მოიქცნენ ასე, ანდაც მათ არ მოექცნენ ამგვარად. სისასტიკეს, უზნეობას, ამორალობასა და სადიზმს მიჩუმათება კი არა, ამოშანთვა უნდა.

კიდევ ვიმეორებ, ეს ფილმი უნდა გადაღებულიყო! ეს ფილმი სწორედ გოგა ხაინდრავას უნდა გადაეღო!

თამაში თუ წინა ცხოვრებაში დაბრუნება?

ეს შეხვედრა იმ დღეს შედგა, როცა თბილისში სერიალ „Heroკრატიის“ პირველი ორი ნაწილის დახურული ჩენება გაიმართა. ოთახში სამნი ვსხედვართ, სამი მეგობარი, მე, **გია გაბრიჭიძე** და **დათო დათუკიშვილი**. ძნელია საკუთარ მეგობრებთან ინტერვიუს აღება, მით უმეტეს თუ თითქმის ყოველდღე ერთად ხართ, ერთმანეთის ავან-ჩავანი იცით და ერთნაირი ცხოვრება გაქვთ გავლილი... ფილმის დახურულ ჩვენებაზე სამივეს გვაქვს მოსაწვევი. წასვლა ვერ გადამიწყვეტია (ჩემი უფროსი მეგობრის, შესანიშნავი ჟურნალისტისა და რედაქტორის არმაზ სანებლიძის ნათქვამი მახსენდება – ალბათ ვერ წავალ ჩვენებაზე, ვერ გავუძლებ, სამშაბათს მირჩევნია სახლში მშვიდად დავჯდე და იქ... ვინერვიულოო), მირჩევნია, იტალიელი ტიფოზივით სახლში დავამსხვრიო განერვიულებულმა ყველაფერი, ვიდრე ამხელა დარბაზში ავღრიალდე.

დათოს და გიას, ჩემგან განსხვა-

ვებით, ნაცებისგან უფრო მეტი მოხვედრიათ — ერთად თუ მიტინგზე გვცემდნენ, მათ გლდანის ციხეშიც მოუწიათ საშინელებების ნახვა და ცემა-ტყეპა.

— ძნელი იყო ფილმში გადაღება?

დათო — მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი მსახიობი ვარ და იქაური სიტუაციაც არ იყო ჩემთვის უცხო, მაინც გამიჭირდა.

გია — საშინელება იყო, რომ ისევ იმ კოშმარში გადავცვივდით, რაც წლების წინ გამოვიარეთ. გადაღებები ხომ ციხეში მიდიოდა. ციხის ჩვეულებრივ საკანში, არავითარი ბუტაფორია, არავითარი ზედმეტი რეკვიზიტი, ყველაფერი ნაღდი...

დათო (აწყვეტინებს): — ავტობუსით რომ მიგვიყვანეს „გადასაღებ მოედანზე“, ანუ პირდაპირ ციხეში, ტანში გამცრა. კინოკადრებივით დატრიალდა ყველაფერი თავში. ფილმის ბევრი მონაწილე მართლაც ამ საშინელებაგამოვლილი იყო, ყველას ალბათ გაუძნელდა იმ ჯოჯოხეთში დაბრუნება.

— შენ რაღაზე დაგიჭირეს ეს პატიოსანი კაცი (მეცინება დათოზე)?

გია — დაიჭერდნენ, აბა რას იზამდნენ, თბილისელი კაცია, უსამართლობას ვერ ეგუება, სამშობლო უყვარს, ძმაკაცებს თავზე ევლება, ოჯახის შვილია, განათლებული, განა ცოტაა ასეთი „კომპრომატები“? რომ არ მოკლეს არ გიკვირს?

> **დათო დათუკიშვილი, მსახიობი, გადაღებულია რამდენიმე ფილმში, როგორც საქართველოში ასევე რუსეთში. შეგახსენებთ სერიალებს: „ჩემი ცოლის დაქალები“, „მზარეულები“, „Heroკრატია“. ფილმები „ზაზუნა“, „სონატა“, OPT-ზე გადიოდა ფილმები მისი მონაწილეობით „ომის გზებზე“ და „ხატი“.**

დათო — ფილმში ჩემი გმირი ერთი უბრალო, თბილისელი კაცია. არავითარი პოლიტიკა, არავითარი ქურდული სამყარო, გაუჭირდა და რაღაც მოიპარა, წვრილმანი ქურდობაო, რომ იტყვიან. ავლაბრელი კაცია, ალიკა ჰქვია. საოცარი ოპტიმისტია — ახალი ციხე რომ ააშენეს, ბავშვივთ უხარია, პირობები გაუუმჯობესდებათ პატიმრებსო. ცდილობს, თავისი ოპტიმიზმი სხვებსაც გადასცეს. მაგრამ... (ჩაფიქრდება) ბოლოს ცემაში კლავენ ციხის ჯალათები. მოკლულის შინაგან ორგანოებს კი ყიდიან. მოკლედ, ოპტიმიზმთან და სულთან ერთად ჯიგარსაც ამოაცლიან.



გია გაბრიჭიძე გადაღებისას

> **გია გაბრიჭიძე: ჟურნალისტი. ტელეწამყვანი. გადაღებულია ათობით სერიალსა და მხატვრულ ფილმში ეპიზოდურ როლებში.**

— გია, მოკლედ, ლეგენდარული სესილია თაყაიშვილისა არ იყოს, ერთი მთავარი როლი არ გაღირსეს რეჟისორებმა.

გია — შენი შესაძლებლობების სრულად გამოხატვისთვის ეპიზოდური როლი მისწრებაა, დიდი მსახიობობაც ეს არის, რამდენიმე წამში თქვა შენი სათქმელი და დაამთავრო (იცინის).

— რა ვიცი, ყველა ფილმში შენ გირტყამენ, გცემენ, ხან „სტაიანშიკი“ ხარ, ხან მეეზოვე, ახლა „აზერბაიჯანფილმმა“ ტრაქტორისტის როლი შემოგთავაზა, მოკლედ სათქმელიო ამბობ, მაგრამ პანტომიმის მსახიობივითა ხარ.

გია — ეს არის დიდი მსახიობის ბედი. ბავშვობაში ვინც მსურდა გამოვსულიყავი ყველაფერი კინოში ავინაზღაურე. ახლა სერიოზულად თუ გინდა, გეტყვი. ბევრ რეჟისორს შევხვედრივარ, ბევრ ცნობილ მსახიობთან მითამაშია, მაგრამ გოგამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა — არავითარი ჩარევა, აზრების თავს მოხვევა, სიმკაცრე, ამპარტავნობა, გეუბნება — ითამაშე ისე, როგორც შენ ხედავ! ისე გათვლილი აქვს ყველაფერი, რომ ზედმეტი დუბლის თამაში არ გიწევს...

— ალბათ ამ ფილმში მოხდა ასე, ყველას ჩვენ თავზე გვქონდა გადატანილი ის საშინელება, რაც ფილმში ხდება, ამიტომაც გაგიადვილდათ.

გია — არც მთლად ასეა. დათოს დავეთანხმები და ამ ფილმში რომ ვმონაწილეობდი... თითქოს მეორედ მოვიხადე „სროკი“. ისეთი დამთრგუნველი იყო ყველაფერი...

დათო — რაც შეეხება გოგას, მასთან პირველად ვიმუშავე. მიმუშავია ზაზა მერაბიშვილთან, ჯაბა რუაძესთან, გიორგი მეგრელიშვილთან, სერიალებშიც, ყველა თავისებური რეჟისორია, გოგა დოკუმენტალისტია, ვიფიქრე, გამიჭირდებოდა, მაგრამ როგორც გიამ თქვა, ყველაფერში სრულ თავისუფლებას გაძლევს. თან სცენარიც ისეთია, რომ უცხო არ არის შენთვის, პროფესიონალია ირაკლი სამსონაძე, მაგარი სცენარი შექმნეს ერთად, აქ არაფერია დადგმული, ყველაფერი ნაღდია.

— მოკლედ გოგა ხაინდრავამ თქვა თავისი სათქმელი?

გია — მაგრად, თანაც ისე რომ, წეღან ოსვენციმზე და ნიურნბერგზე ვსაუბრობდით და ამ ფილმით შეძლო, გაესამართლებინა ნაციონალთა დიქტატურა. ის რაც ვერ შეძლო ამ მთავრობამ თავისი მოგონილი „კოჰაბიტაციით“ გოგამ შეუსრულა.

დათო — მართალია, მაგრამ ბოლომდე მაინც დაინდო, ის სისასტიკე რაც ამ ცხრაწლიანი დიქტატურის დროს ტრიალებდა, შეიძლებოდა, უფრო მკაცრადაც გვეჩვენებინა.

— გამოაფხიზლებს კი ყურთბალიშზე თავმიდებულ ქართული დემოკრატიის მამებს გოგა ხაინდრავას ფილმი?

გია — თუ უნდათ გამოაფხიზლებს, მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ თავად ისინიც არიან ხელშემწყობი ამ საშინელებებისა. ეს კოჰაბიტაციაც ხომ მათი მოგონილი იყო... ისე ამათაც აწყობდათ ვგონებ, ისე არიან გაყურსულნი, მაგრამ ეს ფილმი უნდა გადაღებულიყო...



დათო დათუკიშვილი პატიმრის როლში

დათო — გოგამ ხელოვნების ნიმუში შექმნა, მართალია სასტიკი, მაგრამ მაინც დიდი ფილმი. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ, ოღონდ ჩვენს მაყურებელს მინდა ვურჩიო — ამ ფილმს უყუროს, როგორც მაღალპროფესიულ ფილმს. ეს ხომ ჩვენი ისტორიაა. მე მსახიობი ვარ, ამ ფილმში ყველაფერი გავაკეთე, როგორც მსახიობმა, გულახდილად გეტყვით, რომ სხვა უფლებაც არ მქონდა, შთამომავლობამ უნდა განსაჯოს ყველაფერი...

მაინც ამოვთხრი!

არ უყვარს წარსულზე საუბარი დათო დათუკიშვილს, მაგრამ მე ვიცი, რომ არა დაკარგული წლები, ტანჯვა და თავსგადახდილი წამება, იგი კიდევ ბევრი როლის თამაშს მოასწრებდა. არ აპატიეს თავისუფლება, არ აპატიეს რუსულ ფილმში მონაწილეობა, არ აპატიეს მსახიობობა იმ გარეწრებმა, რომლებმაც რუსებს თავად მიართვეს ხონჩით ყველაფერი, დაწყებული ჩვენი ბიჭების ლამაზი, უმანკო, ვაჟკაცური სიცოცხლიდან — დამთვარებული იმით, რასაც ჩვენი ძირძველი მიწები ჰქვია. მაგრამ ცხოვრება წინაა, დათოც და გიაც, უამრავი გამწარებული და არა გაბოროტებული ადამიანი, მაინც იმედით შესცქერის მომავალს. ვიცი, რომ დათო უამრავ კარგ როლს შეასრულებს ისეთს, სადაც მეორეჯერ არ მოუწევს „სროკის“ მოხდა, მეორეჯერ არ მოუწევს იმ საშინელ ჯოჯოხეთში გადასახლება, თუნდაც კინოში. რაც შეეხება ბატონ გოგა ხაინდრავას იგი კვლავ თავისი დიდი მასწავლებლის თენგიზ აბულაძის უკვდავი „მონანიების“ გმირ ქეთევან ბარათელივით არ უღალატებს თავის მრწამს — მაინც ამოთხრის!

მაინც ამოთხრის თავისი პრინციპულობით, თავისი ტელეკამერით, თავისი მართალი სიტყვით... სხვათა შორის, გოგას ლამაზ, დაწყნარებულ სამშობლოზეც შეუძლია ფილმების გადაღება, ოღონდ მანამდე უნდა ამოთხაროს ეს სარეველები, შემდეგ...

ეს სასტიკი, „არასასიამოვნო“ ფილმი მთელმა საქართველომ უნდა ნახოს.

მამუკა ვაშაკიძე

> **P. S. ბიძაჩემმა როდესაც გაიგო, რომ მისთვის გერმანიის მთავრობა კომპენსაციის მიცემას აპირებდა, ჩაფიქრდა — „არ მეგონა თუ ბოდიშის მოხდა შეეძლოთო“. მას ხომ მთელი გერმანელი ერი ფაშისტებთან ჰქონდა გაიგივებული. ომის შემდეგ თავისი მშობლიური სოფლიდან არ გაუდგამს ფეხი, არ უყვარდა ომზე ფილმების ყურება (ერთადერთი, თუ სტალინი ან ჰიტლერი გამოჩნდებოდა იმას მიაჩერდებოდა სადღაც შორეულ ფიქრებში წასული). „ეს ფურცლები უნდა დავწვა, რომ გამომიგზავნესო“. მაგრამ მეორე დღეს ვერც უშიშროების კომიტეტის გამოგზავნილი ფურცლები იპოვა და ვერც ბატონ ჰერბერტ დირქსისა, რომელიც ბოდიშს იხდიდა თავისი თანამემამულეების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. იმ გერმანელი ჰერბერტ დირქსისა, რომელიც თხუთმეტი წლის წინათ საკონცენტრაციო ბანაკ ნოიენჰამის მემორიალურ-მუზეუმს თავკაცობდა — ეს საბუთები მე... მოვიპარე. ბიძაჩემი ისე გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, რომ დღემდე არ ვიცი, აპატია თუ არა გერმანელებს დანაშუალი. დღეს საღამოს გოგა ხაინდრავას „საშინელებათა ფილმი“ იწყება ქართულ ტელეარხზე. ეს ფილმი ყველამ უნდა ნახოს!**

პატიება არპატიება კი თძვენზეა.

ვ. ვ.

...იმდენი, რამდენიც ქართველია

წინ, აზროვნების სათავეებისკენ!

თუ ერთ წელზე აკეთებ გათვლას, დარგე ბრინჯი,
თუ ათ წელზე აკეთებ გათვლას, დარგე ხეები,
თუ ას წელზე აკეთებ გათვლას, გაანათლე ხალხი.

გუან-ცზი.

> **„ყველა ქართველის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საფიქრალი... იმდენივე იქნება რამდენი ქართველიც ცხოვრობს ცისქვეშეთში“, აღვნიშნავდი ჩემს ადრე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში („ილორი“ 21-28 ივლისი 2015 წ.), რათა მახვილგონივრულ საფუძველზე მომხდარიყო კონცენტრაცია ხალხის აზრისა და შესაბამისად ერთი კონკრეტული, საჭირო ქმედებით განხორციელებულიყო. ცხოვრებისეული გამოცდილების და ცოდნა -განათლების შესაბამისად, მათი ყოველდღიური საქმიანობით თუ ნაღვაწით, რა თქმა უნდა, ხალხი არ არის ნათლად წარმოჩენილი, რასაც ჩემს წერილში აღვნიშნავდი.**

ეს მაძლევს საშუალებას უფრო ვრცლად გამოვხატო ჩემი ნააზრევი, რისი გაცნობა ხალხისთვის აუცილებლად მიმაჩნია. თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარი შიდა და გარე დამანგრეველი ძალა, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ დაუფარავად მოქმედებს.

გვახსოვს, რომ, თუმცა დიდი ზვიადის ირგვლივ მამულიშვილების გარკვეული წრე იყო შემოკრებილი, ვერ მოხდა მყარი შეკავშირება, რაც არსებულ პირობებში ზრდიდა ქართველთა ურთიერთდაპირისპირებას. და მაშინ მიმართა მან თავის მეგობრებს: „ჩემი პრეზიდენტობა ერთი ქრთველის სიცოცხლედაც არ ღირს, აუცილებლად გადავდგები!“ ისიც დასძინა, ამ ნაძირალებისგან მე წამებულებს ვერ შევქმნიო და გაწირა სიცოცხლე!

ამ ყველაფერს კი მოჰყვა ქვეყნის ნგრევა-გაჩანაგება და გენოციდი.

რომ არა ადამიანების მტრულად განწყობილი მცირე ჯგუფის შეკავშირება, ეს ვერ მოხდებოდა. თანაც ამას მყარად უჭერდნენ მხარს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყყნის გარედან ღიად, თუ ფარულად შეზღუდული, გულუბრყვილო, სულიერად დაკნინებული აზროვნების მქონე ადამიანები.

თუ საქართველოს ისტორიას გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ დავით აღმაშენებლის ოცდაათწლიანი ბრძოლის პერიოდს ბაღვაშის და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ, რომელთაგან სულ გაწმინდა ქვეყანა და საუკუნეზე მეტი დიდებულად იცხოვრა საქართველომ. ასევე, შეიძლება გავიხსენოთ სტალინის ისტორიული წარსული, როდესაც მასონთა მეშვეობით სურდათ, რუსეთის და მთელი საბჭოთა კავშირის განადგურება, სტალინმა თავის ერთგულ მიმდევარ ხალხთან ერთად აღგავა პირისაგან მიწისა მასონები და მათი მხარდამჭერები, დაახლოებით ისტორიული ცნობების შესაბამისად დაიხვრიტა ასიათასობით ადამიანი, ასიათასობით გაადასახლეს.

დღეს საჭიროდ მივიჩნევ, გავიხსენო კახეთში გაგონილი ამბავი: ერთმა პიროვნებამ ცრუ ინფორმაციის საფუძველზე გადაასახლებინა მეორე, რათა მისთვის წაერთმია ცოლი, ხოლო მეორე დამბეზღებელმა გადაასახლებინა, რათა წაერთმია სახლი. მაგრამ ორივენი მალევე დაისაჯნენ. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სტალინმა, მისმა აზრმა და ნაღვაწმა, შეძლო მომავლისთვის აზრი და წრთობაც გაემყარებინა.

ჩვენი სამშობლოც დაღუპვის და გაჩანაგების პირას იყო, ბ. ივანიშვილს რომ არ მოეცილებინა 2012 წლის 1 ოქტომბერს სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები. იმედია, ხალხი შეძლებს 8 ოქტომბრის არჩევნების დროს ნაციონალების პროვოკაციების აღკვეთას და უზრუნველყოფს არჩევნების ნორმალურად ჩატარებას.

თქმულიდან გამომდინარე, ზემოთ ნახსენებ წერილში აღვნიშნავდი შესაძლო კოჰაბიტაციას, მაგრამ სხვას ვის ძალუძდა, მომავალ არჩევნებამდე მიეღწია განვლილი ოთხწლეულის წარმატებული მდგომარეობისთვის და აღეკვეთა ქვეყნის ნგრევა?

სულ ცოტა ხანში, უკვე ოთხი წლის თავზე, კიდევ ერთხელ გაიმართება არჩევნები, რაც საფუძველს ჩაუყრის არა მხოლოდ უახლოეს, თუნდაც ათწლეულს, არამედ ასწლეულსაც გადასწვდება. როგორც ამბობენ, ადამიანების განათლება უკეთესობას ელის, ე.ი. ვითვალისწინებთ რა გუან-ცზის მოწოდებას „თუ ას წელზე აკეთებენ გათვლას, ხალხის აზრით მიღწეული წარმატებები უნდა გააღრმავონ და განამტკიცონ როგორც „ქართულმა ოცნებამ“, ისე გვერდში მდგომმა მეჭიაურის, თოფაძის, თუ სხვათა პარტიებმა, რომლებიც დამოუკიდებლად გამოვლენ საარჩევნო „ბრძოლის ველზე“.

როგორც ვიცით მეჭიაურის პარტიამ უკვე წარადგინა მაჟორიტართა პირველი ხუთეული: ს.ბრეგაძე, ი.მეტრეველი, ლ.მოროშკინა, ჯ.სეფიაშვილი და დ.ფაცაცია. ყოველ მათგანს საზოგდოება იცნობს როგორც ღირსეულ მამულიშვილს, მაგრამ შემთხვევითმა დაშლამაც კი შეიძლება მნიშვნელოვნად დაასუსტოს მათი კავშირი.

ხომ გვახსოვს „გიორგი საакაძიდან“, როგორ ტეხავს პატარა პაატა თითო-თითო ისარს, უფროსი კი ისრების შეკრულ კონას ვერაფერს აკლებს. როგორც ჩანს, თავიანთი განათლების და ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად, ხსენებულ კანდიდატებთან ერთად სხვადასხვა პარტიიდან ღირსეული მამულიშვილები შევლენ პარლამენტში.

ავთანდილ ციხისთავი

ბერია არ გაუსამართლებიათ, თავის ბინაში მოკლეს მხეცურად

100 წელი შესრულდა გამოჩენილი ეპიდემიოლოგისა და იმუნოლოგის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, გენერალ პეტრე ნიკოლოზის ძე ბურგასოვის (1915-2006) დაბადებიდან. იგი უკანასკნელი იყო იმ მეცნიერთა შორის, ვინც ბაქტერიოლოგიურ იარაღს ქმნიდა სსრ კავშირში. ასეთ კაცზე იტყვიან ხოლმე, ძალიან ბევრი რამ იცოდაო. მან მართლაც ბევრი რამ იცოდა. 1950-იანი წლების დასაწყისში მისი უშუალო უფროსი იყო ლავრენტი ბერია, რომელიც პირადად კურირებდა მის სპეცჯგუფს. 1965-1986 წლებში, როცა მოხდა ქოლერა ელ-ტოროს აფეთქება ასტრახანში, დონის როსტოვსა და ოდესაში, ციმბირის წყლულის ეპიდემია სვერდლოვსკში და რამდენიმე სხვა „გასაიდუმლოებული“ ტრაგედია — გენერალი ბურგასოვი საბჭოთა კავშირის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი იყო.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან, ბაქტერიოლოგიური იარაღის მამამ, გამოსცა წიგნი „მე მჯეროდა“ (ოღონდ დაიბეჭდა მხოლოდ... ათასი ეგზემპლარის ტირაჟით), სადაც გულახდილად თქვა დროსა და თავის თავზე, ფარდა ახადა XX საუკუნის მრავალ საიდუმლოს, იმავდროულად კაცობრიობა გააფრთხილა მოსალოდნელ საშიშროებათა შესახებ.

წიგნის ერთი მონაკვეთი ეძღვნება თავისი ყოფილი უფროსის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მარშლის ლავრენტი პავლეს ძე ბერიას დაღუპვას, რაც ძირეულად განსხვავდება ოფიციალური ვერსიისგან.

1950 წლის აპრილში ეპიდემიოლოგი ბურგასოვი სამუშაოდ მინისტრთა საბჭოში გადაიყვანეს, იქ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით იქმნებოდა სპეციალური საიდუმლო ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა მასობრივი განადგურების ყველა სახის იარაღის შექმნაზე.

ჯგუფი განაზოგადებდა მთელ სადაზვერვო მასალას — რაზე მუშაობს ამერიკა, ინგლისი... ბურგასოვი ყოველთვიურად ლამაზი კალიგრაფიით იწერდა ორ წითელ ბლოკნოტში თუ რა დამუშავებები მიმდინარეობდა სსრ კავშირსა და მსოფლიოში და რა პროგნოზები არსებობდა. ერთი ბლოკნოტი სტალინისთვის იყო განკუთვნილი, მეორე — ბერიასთვის. სხვათათვის ინფორმაცია უსასტიკესად იყო გასაიდუმლოებული. „ფაქტობრივად ჩვენ ლავრენტი პავლოვიჩ ბერიას ვემორჩილებოდით. მე მას კვირაში სამ-ოთხჯერ ვხვდებოდი... სანამ არ მოკლეს“ — წერს ბურგასოვი.

თავის წიგნში და ბოლო წლების ინტერვიუებში გენერალი ბურგასოვი თავს ვალდებულად მიიჩნევს სიმართლე თქვას ბერიას მკვლელობაზე. რა თქმა უნდა, მან მშვენივრად იცოდა ოფიციალური ვერსია: 1953 წლის 26 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თათბირის დროს ლავრენტი ბერია დააპატიმრა გენერლების ჯგუფმა მარშალ გიორგი ჟუკოვის მეთაურობით, იმავე წლის 23 დეკემბერს იგი გაასამართლეს (არსებობს სტენოგრამა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს მარშალ ივან კონევის თავმჯდომარეობით, „ბერიას უკანასკნელი სიტყვითურთ“), მიუსაჯეს „უმაღლესი ზომა“ და იმავე დღეს დახვრიტეს მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ბუნკერში, ცხედარი კი დაწვეს მოსკოვის (დონის) I კრემატორიუმის ღუმელში.

პეტრე ნიკოლაევიჩი ასეთ სცენარს კატეგორიულად უარყოფდა. ესე იგი საამისოდ საფუძველი ჰქონდა. ჟურნალისტი ანდრეი კოლომაევი, რომელმაც ერთ დროს მისგან პირველი ინტერვიუ აიღო, იგონებს: „ინტერვიუს დროს მან პირქუშად თქვა: „50 წელზე მეტია, ვცხოვრობ შეგრძნებით, რომ დასაწყისში მოხდა უკანონობა, შემდეგ ჩვენ ყველანი სულმდაბლად მოგვატყუეს, ფაქტები კი გააყალბეს, არც მე და არც ჩემს კოლეგებს მთელი ამ წლების მანძილზე ეჭვიც არ გვქონია, რომ ბერია მოკლეს, ამასთან — მხეცურად, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად თავის ბინაში, მალაია ნიკიტსკაიას ქუჩაზე. ამის მოწმენი იყვნენ. მართალია, ამჟამად, სამწუხაროდ, ერთი მოწმეღა დავრჩი იმ ტრაგიკული მოვლენისა. განვლილ რა ხანგრძლივი, რთული და შინაარსიანი ცხოვრება, არ მსურს იმქვეყნად ისე წასვლა, რომ ამ მკვლელობის საიდუმლო თან გავიყოლო“.

აი რას გვიამბობს აკადემიკოსი პეტრე ბურგასოვი:

1953 წლის 26 ივნისს, დაახლოებით დღის სამზე განყოფილებაში მოვიდა ლავრენტი პავლოვიჩის ვაჟი სერგო და ვანნიკოვის (ბორის ლევის ძე ვანნიკოვი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული პირველი მთავარი სამმართველოს უფროსი, „ატომური პროექტის“ ხელმძღვანელი იყო) კაბინეტში შევიდა. მახსოვს, გამიკვირდა. ინჟინერ-პოლკოვნიკი სერგო ბერია — იგი ბირთვული იარაღისა და კოსმოსის დარგში მუშაობდა — ადრე არასოდეს მოსულა დღისით. უმცროსი ბერია და აკადემიკოსი იგორ კურჩატოვი (რომლებიც, როგორც მახსოვს განუყრელი მეგობრები იყვნენ) სპეცჯგუფს რეგულარულად

ბერიას სახლი მოსკოვში, „მალაია ნიკიტსკაიაზე“

სტუმრობდნენ, ოღონდ ღამის პირველი-ორი საათისთვის — სტალინთან მოხსენებით უნდა წარმდგარიყვნენ, ის კი კრემლიდან ზუსტად სამზე მიდიოდა. მოგვიანებით ვანნიკოვთან შევედი, რათა ამ გამონაკლის ვითარებაში გავრკვეულიყავი. ის მოღუშული იჯდა, თავზე ხელები შემოეჭირა. ჩურჩულით თქვა: „დიდი უბედურება მოხდა. რამდენიმე საათის წინათ თავის მოსკოვის ბინაში, პირდაპირ კაბინეტში დახვრიტეს ლავრენტი პავლოვიჩი!“ თურმე დღისით ბერია უმცროსს დაურეკა ნაცნობმა მფრინავმა (როგორც სერგო ბერია იგონებს, ეს იყო მისი მეგობარი მფრინავი-გამომცემელი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ახმედხან სულთანი, ეროვნებით ყირიმელი თათარი) და აცნობა, თქვენი სახლის ღობესთან, მალაია ნიკიტსკაიაზე, სამხედრო მანქანები დგანან, ხოლო ტერიტორიაზე მეავტომატეები დადიანო. ვანნიკოვი სერგოსთან ერთად მაშინვე იქ წავიდა. მართლაც — ეზო სავსე იყო სამხედროებით. ერთმა ოფიცერმა მათ უთხრა, ნახევარი საათის წინ სახლიდან საკაცით გამოიტანეს გვამი, რომელსაც „ლაბადა-კარავი“ ეფარაო. ისეთი სროლა იყო, რომ ბერიას კაბინეტში ყველა მინა ჩაიმსხვრაო“.

გენერლის თქმით 1953 წლის 26 ივნისს მოსკოვში წყნარი, მზიანი ამინდი იდგა. სპასკის კარიბჭესთან, კრემლის შესასვლელთან, ისევე როგორც კორპუსებში, სადაც განლაგებული იყო მათი ოთახები და ბერიას კაბინეტი, ისევ ის გუშაგები იდგნენ, რომლებსაც ისინი კარგად იცნობდნენ. კრემლის ტერიტორიაზე არ ყოფილა არავითარი პლენუმი და თათბირი, არ ყოფილა არავითარი და პატიმრება მარშალ ჟუკოვის მონაწილეობით...

პეტრე ბუგდასოვის წიგნიდან „მე მჯეროდა“: ბერიაზე ბევრია დაწერილი და ნათქვამი, წაკითხული მაქვს, დიახ, შეიძლება იყო მასში, ასე ვთქვათ, ანემნეზში, რაღაც ისეთი, რაც უღირსია ადამიანისთვის, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მსხვილი სახელმწიფო მოღვაწის დახვრეტა გაუსამართლებლად და გამოუძიებლად შეიძლება მხოლოდ მოვლენების წინაშე შიშის გამო, რაც მაშინ ბევრს ემუქრებოდა მთავრობაში. მე არ შემიძლია დავიჯერო, რომ მას იმ დონეზე ჰქონდა ხელები სისხლში გასვრილი, რომ საჭირო იყო დაუყოვნებლივ ანგარიშსწორება. რატომ დასჭირდა ხრუშჩოვს სიცრუე, ხალხის და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოტყუება ლავრენტი პავლოვიჩის ვითომ დაპატიმრების შესახებ ცნობილი გენერლების მიერ, თანაც გიორგი კონსტანტინოვიჩ ჟუკოვის, საბჭოთა კავშირის მარშლის, აღიარებული სამხედრო სტრატეგის მეთაურობით?

სხვათა შორის, რაც არ უნდა წერონ დღეს, ბერიას შესახებ მხოლოდ ყველაზე კარგი შემიძლია ვთქვა. ავიღოთ წესრიგი. ჩვენ ალბათ, უკვე ვერასდროს ვეღარ მივაღწევთ იმას, რაც მის დროს იყო. ის წარმოუდგენლად ფაქიზი და აკურატული იყო ყველანაირი დირექტივის გადაწყვეტისა და შესრულების საქმეში, იყო უჭკვიანესი და უპატიოსნესი, დიდი პატრიოტი. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ სწორედ მისი ხელმძღვანლობით შეიქმნა სპეცჯგუფი, რომელმაც საბოლოოდ შექმნა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი, თავისი ძალით წარმოუდგენელი ბაქტერიოლოგიური იარაღი“.

აქვე. ბერიას საქმის „თანამონაწილეობა“ გენერალ ბურგასოვს რაღაც სასწაულით არ შეხებია. „იმავე დღეს, 1953 წლის 26 ივნისს, — იგონებს იგი — მე გამომიძახა მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა პომაზნევმა. „რა ურთიერთობა გქონდათ ბერიასთან?“ — მკითხა, „როგორიც თქვენ, მისი ხელქვევითი ვიყავი“ — ვუპასუხე. „იცით, რა ამხანაგო ბურგასოვ — მითხრა პომაზნევმა — მე აღარ შემიძლია თქვენი მინისტრთა საბჭოში დატოვება“. დღემდე დარწმუნებული ვარ, სწორედ იმ გათავისუფლებამ შემინარჩუნა სიცოცხლე“.

ორიოდ დღეში ბურგასოვი გენერალური შტაბის მეშვიდე სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსად დანიშნეს. დეკემბერში ბერიას უახლოეს თანამებრძოლთა ჯგუფი დახვრიტეს...

ალეკო ასლანიშვილი.

P. S. ბერიას დაღუპვის ბურგასოვისეულ ვერსიას ზუსტად ემთხვევა სერგო ბერიას წიგნში „მამაჩემი — ლავრენტი ბერია“ (მოსკოვი, 1994 წ.) გადმოცემული ვერსია. ის ბატონმა სერგომ პირადადაც მიამბო სიკვდილამდე ორიოდ წლით ადრე, თბილისში შეხვედრისას.

ა. ა.

ბელგიამ საქართველოს უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი მიანიჭა

ბელგიის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ბელგიამ უსაფრთხო სტატუსის მატარებელი ქვეყნების სიაში საქართველო წელს პირველად შეიყვანა.

ბელგია უსაფრთხო წარმოშობის სტატუსს ქვეყანას იქ არსებული სამართლებრივი მდგომარეობის, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვის, ზოგადი პოლიტიკური გარემოსა და სხვა სახის კრიტერიუმების გათვალისწინებით ანიჭებს.

უსაფრთხო წარმოშობის სიის გადახედვა ყოველწლიურად ხდება, საქართველოში ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით განხორციელებული ეფექტური რეფორმების შედეგად წელს ამ სიას მხოლოდ საქართველო დაემატა.

ბელგიის სამეფო უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სტატუსის მქონე ქვეყნების სიას 2012 წლიდან ადგენს და ამ სიით ხელმძღვანელობს თავშესაფრის მაძიებელთათვის სტატუსის მინიჭებისას.

როცა დედა შვილს არ აიყვანს ხელში!

ირაკლი ოქრუაშვილის „რეპერული წერტილი“

„გამარჯვებული ხალხის ტელევიზიამ“, რომელსაც (როგორც ყოველთვის დაარსების დღიდან) დიდი ჯაფა, გაწევა-გამოწევა და სასამართლო დავა აწევს, სენსაციური დოკუმენტი გამოაქვეყნა. როგორც აღმოჩნდა, 2010 წელს, ექსთავდაცვის მინისტრმა ოქრუაშვილმა და მისმა მთავარმა „კონტრაქტორმა“ ქიბარ ხალვაშმა ევროპაში გააფორმეს ხელშეკრულება „რუსთავი-2“-ის კუთვნილების თაობაზე. დოკუმენტით ირკვევა, რომ, თურმე, ყველაზე ნაციონალური ქართული ტელეკომპანია არა ქიბარ ხალვაშს, არამედ იმავე ოქრუაშვილს შეუძენია 2005 წელს! შავით თეთრზე წერია: ხალვაში აღიარებს საკუთარ თავს „proxy“-დ, რომელმაც მხოლოდ „აპლიკაციის“ როლი შეასრულა, ხოლო თანხა (მილიონობით დოლარი) ირაკლი ოქრუაშვილმა გადაიხადა, ანუ ტელევიზიაც სწორედ მას ეკუთვნის.

მართლა ოქრუაშვილმა გადაიხადა თუ ოდესის ამჟამინდელი გუბერნატორის ბრძანებით ვანო მერაბიშვილმა მოიძია „არაკორუფციული ბიუჯეტიდან“, ამ დისკურსში უკვე მეორეხარისხოვანია.

ეს ხელშეკრულება ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის საშუალო დონის იურისტს რომ წააკითხო, ან საერთოდ ვერ გაიგებს რა სიგიჟესთან აქვს საქმე, ან სიცილით მოკვდება და თბილისის ბაზრებში „ბანანის ფასზე“ დასვამს კითხვას. თუმცა იმ იურიდიულ ფირმას (ევროპაში), ვინც ეს უნიკალური დოკუმენტი მხარეებს გააფორმებინა, შემდეგ კი საკუთარ ოფისში შეინახა, ამ ჩვენი მართლა ბედკრული ქვეყნის ცივილიზებულობის დონე სულ არ აღელვებდა: გადაუხადეს, გაუფორმა, ბეჭედი დასვა და შეინახა. რა მისი საქმეა იმის რკვევა, როგორ შეიძლება ჭკუათამყოფელმა ადამიანმა საკუთარი თავი „პროქსი“-დ გამოაცხადოს და ხელშეკრულებით აღიაროს, რომ ქონება, რომელშიც იურიდიულად ნამდვილად გადაიხადა გვარიანი თანხა (თუმცა საბაზრო ღირებულებაზე მაინც ბევრად ნაკლები) სინამდვილეში მას კი არა, ყოფილ თავდაცვის მინისტრს ეკუთვნის, რომელიც ქართულ არმიას უკვე 4 წელია, აღარ ხელმძღვანელობს და, კიდევ უფრო მეტი, - ევროპაში პოლიტდევნილის სტატუსით ცხოვრობს, რაკი სამშობლოში მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა, დააპატიმრეს, შემდეგ „საიდანღაც 6 მილიონი დოლარი აღმოაჩნდა“ — საპროცესო გარიგებისა და პარიზში გასაფრენი ბილეთის საფასურად.

ევროპელებმა არ იციან და არც ევალებათ, იცოდნენ რაიმე ჩვენი (ქართული) „გაგების“ შესახებ, ამიტომ კითხვებიც არ გაუჩნდებოდათ, რაკი ევროპაში ყველაფერი შეიძლება დააზღვიო და იურიდიულად გააფორმო: პიტბულის უკანა მარჯვენა ფეხის ჩათვლით: დადო ორმა ღირსეულმა ადამიანმა ხელშეკრულება, მოაწერეს ხელი და ვისი რა საქმეა?

სამაგიეროდ ბევრი რამ იცის მიხეილ სააკაშვილმა, ისევე, როგორც იცოდა „დროულ - დროს“ გარდაცვლილმა ეროსი კიწმარიშვილმა. ოღონდ ხელშეკრულების თარიღს მაინც ვერსად გავექცევით: 2005 წელს რომ დადებულიყო, — სხვა იქნებოდა, მაგრამ 2010 წელს?!!!

* * *

მეორე, არანაკლებ საინტერესო ასპექტია, როგორ და საიდან აღმოჩნდა ეს ხელშეკრულება „რუსთავი-2“-ის გამგებლობაში? უზენაესი სასამართლოს საკვანძო სხდომის წინ ისე დაბეჯითებით გვარწმუნებენ „აქამდე მიღებული ყველა გადაწყვეტილება უკანონო იყო ამ დოკუმენტის გამოო“, თითქოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს ან საapელაციო სასამართლოს კოლეგიის წევრებს უნდა დასიზმრებოდათ, რომ ასეთი ხელშეკრულება გაუფორმებიათ 6 წლის წინ ევროპაში ოქრუაშვილსა და ხალვაშს. არადა, თუკი ეს მართლაც უნიკალური დოკუმენტი ევროპული საადვოკატო ფირმის ოფისში ინახებოდა, ხოლო ხელშემკვრელი მხარენი, ბოლო დრომდე, კრინტს არ ძრავდნენ, საიდან უნდა სცოდნოდა მის შესახებ ან სასამართლოს, ან საჯარო რეესტრის იმ თანამშრომელს, რომელიც დოკუმენტებს რეგისტრაციაში ატარებს?

„ვინ გაუგზავნათ დოკუმენტი“ — ყველაზე იოლი კითხვაა: რასაკვირველია, თვით ოქრუაშვილმა! აბა ქიბარ ხალვაშს, ამ გააფთრებული ბრძოლის დროს, ნამდვილად არ აწყობდა მისი გასაჯაროება და თვითონ რატომ გაუგზავნიდა ნიკა გვარამიას?

მეორე მხრივ, ეს ხელშეკრულება „მთლიანად ცვლის ვითარებას მიმდინარე დავის გარშემო“. ბოლოს და ბოლოს დავა ხომ საკუთრების საკითხს ეხება? თუკი ირკვევა, რომ მოდავე მხარე სინამდვილეში არ არის ქონების რეალური შემძენი და მფლობელი, მაშინ მოპასუხეს სრული უფლება აქვს, მოითხოვოს არსებული საქმის დაშლა და წინასწარ სტადიაზე დაბრუნება. შენ თუ არა ხარ მფლობელი და მთელი ეს პერიოდი იტყუებოდი, მაშინ ვის რას ედავები?!

გამოდის, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ირაკლი ოქრუაშვილი ჩუმად ადევნებდა თვალს მიმდინარე თამაშს, თუმცა „ჯოკერი“ ჰქონდა და მხოლოდ იმას ითვლიდა, როდის და რა შემთხვევაში გამოეყენებინა იგი: „რუსთავი-2“ -ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს ვერდიქტამდე თუ ამ ვერდიქტის შემდეგ. საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არჩევნებამდე სჯობდა. მით უმეტეს, რომ თვითონ მონაწილეობს არჩევნებში: კენჭს იყრის მშობლიური გორიდან და ამ პროცესში ადრინდელი რესურსების გამოყენება ნამდვილად არ აწყენდა.

„ოქრუაშვილის რესურსებში“ არ იგულისხმება „რუსთავი-2“. ტელევიზიას რომ არავინ დაანებებს, მან ძალიან კარგად იცის, მაგრამ დღეს მისთვის საინტერესოა იმის დემონსტრირება, თუ რამდენად გავლენიანი და შემძლე იყო თავად როგორც 2005, ასევე 2010 წლებში და ბევრი რამ შეუძლია (რაკი უამრავი რამ იცის, ახსოვს) დღესაც.

* * *

ირაკლი ოქრუაშვილს ჭკუა და ეშმაკობა არასდროს აკლდა. მან ყველაფერი ძალიან ზუსტად გათვალა იმ მომენტიდან, როდესაც თბილისში დაბრუნება გადაწყვიტა, რაკი იცოდა, რომ მისი ციხეში გაშვება „ოცნების ხელისუფლებას“ არ აწყობდა. ახლაც ოსტატურად თამაშობს ხელისუფლებისა და ოპოზიციის, ანუ ორივე სამკვდროსასიცოცხლოდ დაპირისპირებული ჯგუფის წინააღმდეგობებზე, რათა ამ „მორევში“ საკუთარი „თევზი“ დაიჭიროს. მისი რესურსები კი (ვიმეორებ) იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და „შემძლე“ ფიგურა იყო.

განსაკუთრებით კომიკურ სიტუაციაში მაინც ქიბარ ხალვაშია. მას, როგორც ჩანს, გულწრფელად ეგონა, მისი პარტნიორი ამ დოკუმენტს არჩევნებამდე მაინც არ გამოაჩენდა, შემდეგ კი „კაცური გაგებით“ მოილაპარაკებდნენ, რა ეღონათ და როგორ გაეყოთ წილები. თუმცა, ქიბარ ხალვაშის საუბედუროდ, ოქრუაშვილი მიხვდა მთავარს: „რუსთავი-2“-ის მფლობელის შეცვლა, შესაძლოა, ზღაპარი არც იყოს, მაგრამ ისეთ პროცესებს გამოიწვევს, რომლებშიც ოქრუაშვილის ადგილი არ იქნება და ექსთავდაცვის მინისტრი საერთოდ აღარავის გაახსენდება. ამიტომაც, სწორედ ახლა გადაწყვიტა „ჯოკერის“ მაგიდაზე დახეთქება, — როცა არჩევნებამდე სულ რამდენიმე კვირა დარჩა.

პოლიტ-ტექნოლოგიაში ამას „რეპერული წერტილი“ ეწოდება. ქართულ სემანტიკაში, ალბათ „ათვლის წერტილი“, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს: მძვინვარე არჩევნები გველის, როდესაც „ძირითადი მოთამაშეები“, ხელისუფლებისა და მთავარი ოპოზიციური ძალის ჩათვლით, ყოველგვარ წესებს დაარღვევენ და, საერთოდ, „დედა-შვილს არ აიყვანს ხელში!“.

გიორგი ლეჟავა

„რუსთავი-2“-ის ადვოკატმა სასამართლოში ოქრუაშვილ-ხალვაშის შეთანხმების დოკუმენტი წარადგინა

„რუსთავი-2“-ის ადვოკატმა თამთა მურადაშვილმა უზენაეს სასამართლოში ირაკლი ოქრუაშვილისა და ქიბარ ხალვაშის შეთანხმების დოკუმენტი წარადგინა.

უზენაესმა სასამართლომ ტელეკომპანიის საკასაციო სარჩელის დასაშვებობაზე უნდა იმსჯელოს და ყველა სხვა დოკუმენტთან ერთად, ეს ახალი გარემოებაც განიხილოს. მურადაშვილის განმარტებით, აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოს დაეხმარება, დასაშვებად ცნოს საქმე და დააკმაყოფილოს სამაუწყებლო კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს საქმის ქვემდგომ ინსტანციაში, საapელაციო სასამართლოში დაბრუნებას.

ქიბარ ხალვაში საგანგებო განცხადებას ავრცელებს

ქიბარ ხალვაში „რუსთავი-2“-ის მიერ სკანდალურ განცხადებაზე, თითქოს ქიბარ ხალვაშსა და ოქრუაშვილს შორის შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი არსებობს, განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ამ ამბავს სოციალური ქსელით გუშინვე მივეცი ლაკონური რეაქცია, სადაც ვამბობ, რომ ყოფილი ნაცი არ არსებობს. ნაციონალი არის ყველა, ვინც, ცხოვრების წესით, ფულისა და ხელისუფლებისთვის, ყველაფერს კადრულობს. ამას ვამბობ ირაკლი ოქრუაშვილზე. მის მიერ წარმოდგენილი „დოკუმენტი“ ბუნებაში არ არსებობს,შესაბამისად, არის სრული სიყალბე. „რუსთავი-2“-ის „აღმოჩენა“ დროში ზუსტად ემთხვევა ჩემი კუთვნილი ქონების დაბრუნებისთვის მიმდინარე სამართლებრივი პროცესის უზენაეს სასამართლოში განხილვის დაწყებას. უკვე მერამდენედ, ჩემს მიდგომას, რომ საქმე განხილულ იქნეს ცივილურად, სასამართლოს მეშვეობით,ნაციონალური მოძრაობა (ამ ცნებაში ვაერთიანებ მიხეილ სააკაშვილს, „რუსთავი-2“-ს დღევანდელ მენეჯმენტს და ირაკლი ოქრუაშვილსაც) უპირისპირებს სიყალბეს, ცდილობს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას, მაყურებლის შეცდომაში შეყვანას და ზეწოლას უზენაეს სასამართლოზე. გუშინდელ ტელეეთერებში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ლამის წერტილ-მძიმის სიზუსტით აღწერეს, თუ რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უზენაესმა სასამართლომ ამ„დოკუმენტის“ უეცრად და მოულოდნელად გამოჩენის შემდეგ.

„ვიმეორებ, — ეს ეგრეთ წოდებული „დოკუმენტი“ არის ყალბი და რეალობასთან მას საერთო არაფერი გააჩნია. „რუსთავი-2“-ის დღევანდელი მენეჯმენტი ცდილობს ფეხი აუწყოს და შეასრულოს ნაციონალური მოძრაობის დავალებები. ამ გზაზე კი მორიგი სიცრუე გახლდათ ის ფაქტიც, რომ მათ განაცხადეს, თითქოს ჩემთან დაკავშირებას ცდილობდნენ და ვერ მოახერხეს... საინტერესოა, რა საშუალებებით ცდილობდნენ, რომ ასეთი მიუწვდომელი აღმოვჩნდი?!..

„კეთილი, მე, ვთქვათ, ვერ დამიკავშირდნენ, როგორც განაცხადეს გუშინ ეთერში, მაგრამ ვერც ჩემს წარმომადგენელთან მოახერხეს დაკავშირება? ისინი მას მხოლოდ სიუჟეტის გასვლის შემდგომ დაუკავშირდნენ. ეთერში გასული სიუჟეტი კი მათ სტილში მომზადებული ფაბრიკაციაა.

„ვაცხადებ მკაფიოდ, — რაც უნდა მოიხარშოს ნაცმოძრაობის ადუღებულ თავში, „რუსთავი-2“-თან დაკავშირებულ სამართლებრივ დავაში ისინი შედეგამდე ვერ მივლენ. პირველივე დღიდან მოყოლებული, და ეს 2012 წლამდე გაცილებით ადრე დაიწყო, დავას ვაწარმოებ ცივილური, სამართლებრივი გზებით. ამ გზებით მივალ კიდეც საბოლოო გამარჯვებამდე, რაშიც სრულიად დარწმუნებული ვარ, რადგან სიმართლე ერთია და ამ დავაში ის ჩემს მხარესაა.“

გორის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადააყენეს

გორის საკრებულოს თავმჯდომარე ილია მეტრეველი, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის თანაგუნდელია, თანამდებობიდან გადააყენეს.

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს 10-მა წევრმა მხარი დაუჭირა მისი იმპიჩმენტის საკითხს.

ილია მეტრეველის თანამდებობიდან გადაყენებას მხარი არ დაუჭირა სამმა დეპუტატმა, ერთი წევრი სხდომას არ ესწრებოდა. ამასთან, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა მინდია გოდერძიშვილმა კი, კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

◎ კალათბურთი

გამარჯვება გაჭეხილი ცხვირისა და სანქციის ფასად

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სლოვაკეთში მნიშვნელოვანი გამარჯვება – 94 : 63 საკმაოდ იოლად მოიპოვა. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა უბადლოდ ითამაშა და მასპინძელთა ეროვნულ გუნდს წარმატების ყველანაირი იმედი თავიდანვე მოუსპო. ბრატისლავაში ჩატარებულ შეხვედრას საკმაოდ უარყოფითი შედეგიც ჰქონდა – საქართველოს ნაკრებმა რიგი მიზეზების გამო 3 მოთამაშე უკვე პირველივე ტაიმში დაკარგა, რომელთაგან მომდევნო – 7 სექტემბერს მონტენეგროსთან გასამართ მატჩში თამაში ორისთვის სათუოა.

დავიწყოთ ანატოლი ბოისათი, რომლის მომავალ შეხვედრაში თამაშიც ყველაზე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ბოისამ მეორე პერიოდში მძიმე ტრავმა მიიღო – დაცვაში ჩასვლის დროს მას დუდა სანაძე დაეჯახა და ანატოლის ცხვირი გაუტყდა. ის მედიკოსებმა ჰოსპიტალში წაიყვანეს და ჯერ უცნობია, შეძლებს თუ არა ხვალ თამაშს.

მეორე მეოთხედის ბოლო წუთზე, როცა საქართველოს ნაკრები 21 ქულით – 50:29 იგებდა, სლოვაკი ბორის ბოიანოვსკი ზაზა ფაჩულიაზე გადამეტებული უხეშობის გამო არასპორტულად დაჯარიმდა, რასაც კონფლიქტი მოჰყვა. მსაჯებმა დისკვალიფიკაციით დასაჯეს კონფლიქტში ჩართული ბესო ლეჟავა, ხოლო ინციდენტის დროს სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე შესვლისთვის ანალოგიური სასჯელი მიიღო ვიქტორ სანიკიძემ.

საქმე მოთავებული იყო, ქართველები 21 ქულით იგებდნენ, მაგრამ მოუთოკავი ემოციების გამო თავი საფრთხეში ჩაიგდეს. მართალია, მეორე ტაიმში ქართველებმა კიდევ უფრო დამაჯერებლად ითამაშეს და სლოვაკებს შანსი არ დაუტოვეს, მაგრამ 2 დისკვალიფიცირებული მოთამაშის ფაქტორი გვარიანად სანერვიულოა. ითამაშებს თუ არა ლეჟავა მომდევნო მატჩში, ამას ფიბა-ს შესაბამისი კომისია გადწყვეტს. სანიკიძეს კი მისი გამოტოვება არ ემუქრება.

ეს იყო ალბათ გამონაკლისი იმ გასვლითი მატჩებიდან, რომელშიც გულშემატკივრობის მხრივ საქართველოს ნაკრებს თავი სტუმრად არ უგრძნია. ავსტრიიდან და სლოვაკეთის მეზობელი ქვეყნებიდან ბრატისლავას „ჰანტ-არენაზე“ ქართული დიასპორის საკმაოდ დიდი დესანტი იყო თავმოყრილი. ქართული დროშები სლოვაკურს სჭარბობდა, ხოლო აქტიურობით ჩვენი თანამემამულეები მასპინძლებს არაფერში ჩამოუვარდებოდნენ.

სამწუხაროდ, მასპინძლებმა სიტყვა ვერ შეასრულეს და დაგეგმილი ტრანსლაცია Youtube.com-ზე ვერ განახორციელეს, რის გამოც საქართველოში (და ვერც ვერსად, დედამიწის ზურგზე), ამ მატჩის პირდაპირ ეთერში ყურება ვერ მოახერხეს.

მატჩს დაესწრო და მის დაწყებამდე ქართველ კალათბურთელებს შეხვდა ბრატისლავაში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე. არც მინისტრს და საქართველოს ნაკრების არც ერთ სხვა ქომაგს მატჩის შედეგის გამო არ უნერვიულიათ. კარგი დაცვისა და უკეთესი შეტევის ხარჯზე საქართველოს ნაკრები 14:4 დაწინაურდა, რითაც მასპინძლებს წუთშესვენება ააღებინა, მაგრამ ამით ქართველების შესანიშნავი თამაში ვერ შეაჩერეს. მასპინძლებს კარგად გამოუვიდათ მხოლოდ პროვოკაცია ფაჩულიაზე, რომელსაც სხვა ქართველი კალათბურთელები წამოეგნენ.

რაც შეეხება მოედანზე მყოფებს, ყველამ, ვინც თამაშში ჩაერთო, შესანიშნავად ითამაშა. თორნიკე შენგელიასა და ზაზა ფაჩულიას ტანდემმა მატჩის დებიუტში სლოვაკების ფარქვეშეთი დაიპყრო და ჩვენს ნაკრებს ამით დიდი უპირატესობა მოუპოვა. შენგელია თავად ბლომად ბურთებს ყრიდა, უკანა ხაზიდან კი მას ზურგს მაიკლ დიქსონი უმაგრებდა, რომელმაც საბოლოოდ 4-დან 4 სამქულიანი, მთლიანობაში კი 16 ქულა (პლუს 7 პასი) მიითვალა. ბომბარდირ შენგელიას კი ორმაგ დუბლამდე მცირედი დააკლდა - მის ანგარიშზე 18 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

10 ქულას ასცდნენ დუდა სანაძე (14 ქულა), ბექა ბურჯანაძე (13) და ზაზა ფაჩულია (12).გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 6 ქულა, 6 პასი და 4 მოხსნა დაგროვდა. კარგად ითამაშეს სათადარიგოებმაც – ლუკა ზაქრაძემ, ბექა ბექაურმა, რომლებმაც სასტარტოების კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჭადრაკი

ეპიცენტრი – ბაქოში

ვაჟთა 180 და ქალთა 141 ნაკრები მონაწილეობს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში, რომელსაც ბაქო მასპინძლობს. ტურნირში საქართველოს გუნდები ასეთი შემადგენლობით ჩაებნენ: ქალები – ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ბაციაშვილი, სალომე მელია, კაპიტანი დავით ჯოჯუა, მთავარი მწვრთნელი ელიზბარ უბილავა; ვაჟები – ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, თამაზ გელაშვილი, თორნიკე სანიკიძე, კაპიტანი და მთავარი მწვრთნელი ზურაბ სტურუა. ჩვენი მანდილოსანი დიდოსტატები ოლიმპიადაზე საშუალო რეიტინგით ჩინეთის, რუსეთისა და უკრაინის გუნდების შემდეგ მეოთხე ადგილზე არიან, ხოლო მამაკაცების გუნდი მეოცეა. აქ რუსები არიან პირველზე.

უკვე გათამაშდა სამი ტური. ჩვენმა ქალებმა სტარტზე სმენადაქვეითებულთა ნაკრებს აჯობეს 4:0 (ფავორიტთა შეხვედრების შედეგები: ჩინეთი-ლუქსემბურგი 4:0, პორტუგალია-უკრაინა 0:4, რუსეთი-შოტლანდია 4:0, ნიკარაგუა-აზერბაიჯანი (1) 0:4, ინდოეთი-მაკედონია 4:0), მეორე ტურში კი მოულოდნელად წააგეს დაბალი რეიტინგის მქონე ფილიპინელებთან – 1.5:2.5 (ჩერნოგორია-ჩინეთი 0:4, უკრაინა-მოლდოვა 3.5:0.5, ეკვადორი-რუსეთი 0:4, აზერბაიჯანი (1)-მექსიკა 2.5:1.5). მესამე ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა ესტონეთის გუნდი დაჯაბნა – 3.5:0.5. ჩინელებმა ვიეტნამელებთან ქულა დაკარგეს – 2:2, რუსებმა უზბეკებს სძლიეს 3:1, უკრაინელებმა ამერიკელებს აჯობეს – 2.5:1.5, კუბა-ლიტვა 1.5:2.5, პოლონეთი-აზერბაიჯანი (1) 1.5:2.5.

ვაჟთა ტურნირის სტარტზე საქართველოს ნაკრებმა მიანმას აჯობა – 3.5:0.5 (ნიგერია-რუსეთი 0:4, აშშ-ანდორა 4:0, კოსოვო-ჩინეთი 0:4, აზერბაიჯანი (1)-ზიმბაბვე 4:0, უკრაინა იორდანია 4:0), მეორე ტურში ირანის გუნდს დაუზავდა – 2:2 (რუსეთი-თურქმენეთი 4:0, შოტლანდია-აშშ 0.5:3.5, ჩინეთი-ბელგია 3.5:0.5, მაკედონია-აზერბაიჯანი (1) 0:4, ალბანეთი-უკრაინა 0.5:3.5), მესამეში კი სლოვაკეთი დაამარცხა 3:1 (მოლდოვა-რუსეთი 1:3, კუბა-პოლონეთი 2.5:1.5, აზერბაიჯანი (1)-უნგრეთი 3:1, აზერბაიჯანი (2)-ინდოეთი 1:3, აშშ-არგენტინა 3:1, გერმანია-უკრაინა 1.5:2.5, ბრაზილია-ჩინეთი 1:3, საფრანგეთი-ესპანეთი 2:2).

სამი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ქალებში 13, ვაჟებში კი 16 გუნდი დაწინაურდა. სულ ოლიმპიადაზე 11 ტური გათამაშდება.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

ბათუმში ბოლქვაძემ გაიმარჯვა

აჭარის დედაქალაქში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით იასპარეზა მარიამ ბოლქვაძემ, რომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი. ქართველმა სპორტსმენმა ზედიზედ ხუთ მეტოქეს აჯობა - რუს ელინა ნეპლის (4:6, 6:0, 6:3). მოლდოველ იულია ჰელვეტს (6:2, 6:3), რუსებს – ანასტასია ფროლოვას (7:6, 6:2), ოლგა პუჩკოვას (6:1, 6:3), ალექსანდრა პოსპელოვას (6:4, 7:6) და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ბოლქვაძე თათია მიქაძესთან ერთად წყვილთა ფინალშიც გავიდა, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა ასპარეზობის მეორე ნომრებთან – ალიონა ფომინასა (უკრაინა) და მარგარიტა ლაზარევასთან (რუსეთი) დათმო 4:6, 3:6 და მეორე ადგილს დასჯერდა. ბოლქვაძე ახლა თელავში იმყოფება და სხვა ქართველ ჩოგბურთელებთან ერთად 25.000-იან ტურნირში ჩაებმება.

გივი გაგუა

◎ ჭიდაობა

ორ „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ



უკვე გაუწყეთ, რომ ფრანგულ მაიკონში გამართულ ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობაზე ჩვენმა „კლასიკოსებმა“ ოთხი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს მხარი ვერ აუბეს „თავისუფლებმა“, რომლებიც ხალიჩაზე გასულ უქმეებზე გავიდნენ. გიორგი გოგშელიძის შეგირდები ორ „ბრინჯაოს“ დასჯერდნენ – მესამე ადგილები შმაგი თოდუამ (60) და ტარიელ გაფრინდაშვილმა (74) დაიკავეს. მართალია, შარშანდელი მაჩვენებელი (ერთი „ბრინჯაო“) გააუმჯობესეს, მაგრამ „კლასიკოსებთან“ შედარებით მათი ალაფი საკმაოდ მკრთალია.

ლაშა დიდია

◎ პარალიმპური თამაშეების წინ

სპორტის „კიბორგული“ მომავალი!..

ბოლო წლების მანძილზე მეცნიერები ცდილობენ, რომ ადამიანის სხეული რაც შეიძლება მეტად „აღჭურვონ“ იმპლატანტი ჩიპებით, ახალი მასალებითა და ინფორმაციის ელექტრონული მატარებლებით. ყველაფერმა ამან კაცობრიობას დამატებითი შესაძლებლობები უნდა გაუხსნას, რაც, არსებითად, ყველას... კიბორგებად გადაგვაქცევს. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ტექნოლოგიებიდან მრავალი სპორტშიც იქნას გამოყენებული. ამდენად, რიოს პარალიმპური ოლიმპიადის ხვალილნდელი სტარტის წინ აღნიშნული სტატია, ვფიქრობთ, მკითხველის ცნობისმოყვარეობას ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებს.

მეცნიერებმა უკვე მოიფიქრეს, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ხეიბარი სპორტსმენებისთვის მოკვეთილი ხელ-ფეხი ბევრად უფრო ძლიერი პროთეზებით. მათი მართვა შესაძლებელი იქნება როგორც თავის ტვინის იმპულსებით, ასევე კუნთების ბოჭკოების დაძაბვით. მომავალში სინთეტიკური კუნთები სპორტსმენებს იმითაც გამოადგებათ, რომ მათი ძალა ჩვეულებრივს 100-ჯერ აღემატება(!).

ხელოვნური ორგანოები

ტრავმები, რომლებსაც ათლეტები შეჯიბრებების დროს იღებენ, ხშირად იმდენად ძლიერია, რომ ნამდვილად არ ღირს გულშემატკივართა მიერ სანახაობისგან მიღებულ სიხარულად. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ სპორტსმენებს ზოგიერთი ბუნებრივი ორგანოს ხელოვნურით შეცვლის ნება დართონ. ეს მათ დიდების წუთების განცდის გულისთვის სამუდამოდ ხეიბრად დარჩენის საფრთხეს აარიდებს, რაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება ხოლმე.

ელექტრონული მხედველობა

დამატებითი რეალობის შემქმნელი სათვალე ჯერჯერობით ფართოდ არაა გავრცელებული, თუმცა კი თავად იდეაზე მოთხოვნა არსებობს. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თვალწინ დისპლეიზე ანდა უშუალოდ თვალის ბადურაზე გარემოს მდგომარეობის შესახებ საჭირო ინფორმაცია გამოისახება. სპორტსმენისთვის ეს, შესაძლოა, იყოს ქარის სიჩქარე, მოედანზე თანაგუნდელთა ან მოწინააღმდეგეთა განლაგება, ფინიშამდე მანძილი და ა. შ.

შინაგანი „ექიმი“

კანში ჩაკერებული ჩიპებით მოხდება გულისცემის, სუნთქვის, კუნთების დაღლილობისა და ა. შ. მონაცემთა სკანირება. ისინი ასევე სხეულში იმპლანტირებულ კომპიუტერში გადაიცემა, რომელიც სპორტსმენის რესურსს განსაზღვრავს და რჩევას მისცემს: ვთქვათ, მან სიჩქარეს უნდა მოუმატოს თუ უმჯობესია ძალები დაზოგოს?

ინფორმაცია, ელექტრონული მხედველობის სისტემით, მას თვალწინ გამოესახება. სხვა იმპლანტანტები სისხლში გამოსაყენებლად ნებადართულ პრეპარატებს შეიყვანენ.

დალი ხუნდაძე

◎ მომსახურების სფერო

გსურთ საქართველოში საქმიანობა? – პატივი ეცით მის კანონმდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას

„იანდექს ტაქსის“ გამოჩენამ თბილისის საზოგადოებაში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია, სოციალურ ქსელებში აღნიშნული კომპანიის საწინააღმდეგო აქციაც მოეწყო, დღეს კი საქართველოს მთავრობას თავის მართლება და განმარტებების კეთება უწევს რუსულ კომპანიასთან გაჩენილი კითხვების გამო.

რუსული კომპანია „იანდექს ტაქსი“ ქართულ ბაზარზე 23 აგვისტოს შემოვიდა, პროტესტი გაჩნდა იმ მიზეზით, რომ „იანდექსის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს რუკა აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშეა დატანილი და შესაბამისად, კომპანია „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონს“ არღვევს. თავად „იანდექს ტაქსის“ წარმომადგენლობა ამ ბრალდებას უარყოფს.

თუ რომელიმე კომპანია საქართველოს კანონმდებლობას არღვევს, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ტაქსების რუსულ კომპანია „იანდექსის“ საქართველოში ოპერირებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე კომენტირებისას.

როგორც ჯანელიძემ განმარტა, საქართველოში ბიზნესგარემო და ბიზნესი თავისუფალია ყველა კომპანიისთვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის დაცვით მოქმედებს და, მათ შორის, რუსული ბიზნესისთვის.

„თუ არსებობს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ. საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ფაქტებს არ იძიებს“, – განაცხადა ჯანელიძემ.

რუსული კომპანიის რეგიონალური მენეჯერის თენგიზ ველიანის ინფორმაციით, კომპანიის საქართველოში შემოსვლა იყო ერთგვარი სტრატეგიული გადაწყვეტილება, რადგან კომპანიის სტრატეგია გულისხმობს აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა კავშირის სივრცეში შესვლას.

ცნობილია, რომ რუსულმა კომპანიამ ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყო თბილისში არსებულ ტაქსების კომპანიებთან. აღნიშნული თანამშრომლობა კი, კომპანიის განცხადებით, ამჟამად მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფის სერვისის მიწოდებაში გამოიხატება.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში დაიწყო მუშაობა „იანდექს ტაქსის“ სერვისმა და არა უშუალოდ „იანდექსმა“, რომლის სტრუქტურაში უამრავი კომპანიაა.

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, „იანდექს ტაქსის“ მენეჯმენტის განმარტებით, ის დაცულია და აფხაზეთი და ოსეთი ნამდვილად არის ასახული რუკაზე, როგორც საქართველოს ტერიტორია.

რაც შეეხება თავად „იანდექსის“ რუკებს, როგორც კომპანიაში განმარტავენ, სათაო ოფისი მუშობს რუსეთში და რუსეთი აღიარებს ამ რეგიონების დამოუკიდებლობას. ამის მიუხედავად, მიმდინარეობს რუკის კორექტირება, მაგრამ პროგრამულად ამ თემის გასწორება საკმაოდ რთული პროცედურაა. კომპანიაში ასევე აცხადებენ, რომ რუსული მხარე წამოვიდა იმაზე, რომ საქართველოში ეს რუკა გასწორდეს არაუგვიანებს 1 ოქტომბრამდე.

თუმცა შესრულდება თუ არა ეს პირობა, ძნელი სათქმელია, რადგან ასეთ შემთხვევაში „იანდექსს“ მოუწევს რუსული პოლიტიკის წინააღმდეგ წასვლა, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებს.

ოკუპაციის შესახებ კანონის დარღვევის გარდა კითხვები გაჩნდა სხვა მიმართულებითაც – აქვს თუ არა საქართველოს მთავრობას გარკვეული ინტერესი და შეგნებულად ხომ არ დახუჭეს თვალი კომპანიის რეგისტრაციისას.

„არც მე და არც ჩემს გუნდს არანაირი შეხება კომპანია „იანდექს ტაქსთან“ არა გვაქვს, - განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა რუსული კომპანია „იანდექს ტაქსის“ ქართულ ბაზარზე შემოსვლისა და მის მიერ „ოკუპირებული ტერიტორების შესახებ კანონის“ დარღვევის საკითხზე კომენტირებისას.

მისივე მტკიცებით, მთავრობა აღნიშნულ კომპანიას არანაირად არ წაახალისებს.

„მთავრობის მიერ არანაირი წახალისება არ ხდება. პირიქით, შემიძლია პიროვნულად გითხრათ - მეც მაქვს ეჭვი, რომ შეიძლება ირღვეოდეს ეს კანონი. მე მქონდა საუბარი ჩემს გუნდთან, ისინი ამ მიმართულებას სწავლობენ. ჩვენ ჩამოვყალიბდებით, თუ ეს დარღვევა არსებობს, ვინ უნდა მოახდინოს ამაზე რეაგირება. ერთმნიშვნელოვნად, კანონი ქვეყანაში უნდა იყოს დაცული. ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი უნდა იყოს უზრუნველყოფილი. არც მე, არც ჩემს გუნდს არანაირი შეხება ამ კომპანიასთან არ გვაქვს. ეს კომპანია, რამდენადაც მოვიკითხე და გავერკვიე, არის პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნისა და მიწოდების თანხვედრას. მიუხედავად ამისა, ყველამ, ვისაც უნდა საქართველოში საქმიანობა, უნდა სცეს პატივი ჩვენს კანონმდებლობას, ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

ბუნებრივია, თავად „იანდექს ტაქსის“ მენეჯმენტიც უარყოფს იმ ფაქტს, რომ კომპანიის მმართველობაში წარმოდგენილი არიან ქართველი მაღალჩინოსნები.

თუმცა კითხვებს ბადებს დანარჩენი აქციების თემა - რაც შეეხება „იანდექსის“ აქციებს, როგორც ცნობილია, ძირითადი პაკეტის მფლობელია არკადი ვოლოჟი, „იანდექსის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, ხოლო ვინ არის დანარჩენი აქციების მფლობელი, დახურული ინფორმაციაა.

შეგახსენებთ, რუსულ პრესაში „იანდექს ტაქსის“ საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიმდინარე წლის ივლისში გამოჩნდა. მაშინ, აღნიშნულ თემაზე გაზეთ „ვედომოსტის“ „იანდექს ტაქსის“ გენერალური დირექტორი ტიგრან ხუდავერდიანი ესაუბრა. საქართველო ბელორუსის, ყაზახეთის, რუსეთისა და სომხეთის შემდეგ მეხუთე ქვეყანა გახდა, სადაც რუსული კომპანიის აპლიკაცია ჩაეშვა.

ცნობისთვის, ტაქსის ონლაინ-გამოძახების კომპანია „იანდექს ტაქსი“ ტაქსის უმსხვილეს კომპანიებთან თანამშრომლობს. სერვისი ავტომატურად განსაზღვრავს დამკვეთის ადგილმდებარეობას და მას ყველაზე ახლოს მყოფ ტაქსის უგზავნის. სისტემას აქვს ისეთი სერვისები, როგორიცაა საფასო კატეგორიის შერჩევა – „ეკონომ,“ „სტანდარტ“ და „ბიზნეს“ კატეგორიები. ასევე ცალკეული მახასიათებლები – არამწეველი მძღოლი, საბავშვო სავარძელი, კონდიციონერი და ა.შ.

როგორც „იანდექს ტაქსის“ „ფეისბუქის“ ოფიციალური გვერდი იტყობინება, 2016 წლის 31 ოქტომბრამდე მგზავრობის ღირებულება 50 თეთრიდან იწყება. აღნიშნულ ფასში შედის მგზავრობა 2კმ-ზე და 5-წუთიანი ლოდინი.

ამჟამად თბილისს „იანდექს ტაქსის“ 200 მანქანა ემსახურება. ამასთან, კომპანია დედაქალაქის გარდა, საქართველოს სხვა ქალაქებში შესვლასაც გეგმავს.

მარიამ თოდაძე

სანთელი

თენგიზ კალანდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ვალერი ურუმაშვილს და მისი ოჯახის წევრებს დედის

ფოთოლა დუნდუა-ურუმაშვილის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან ელიაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ვალერი ურუმაშვილს და მაია ცანავას დედისა და დედამთილის, მარიამ და გიორგი ურუმაშვილებს საყვარელი ბებიის, ღირსეული ქალბატონის

ფოთოლა დუნდუა-ურუმაშვილის

გარდაცვალების გამო.

მარინა კანდელაკი თანაგრძნობას უცხადებს ვალერი ურუმაშვილს და მაია ცანავას დედისა და დედამთილის, მარიამ და გიორგი ურუმაშვილებს ბებიის, კეთილშობილი ქალბატონის

ფოთოლა დუნდუა-ურუმაშვილის

გარდაცვალების გამო.

სანთელი

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების წევრის, დიდებული პიროვნების, ბატონ ვალერი ვარდოსანიძის მეუღლე, ქალბატონი

დალი ხიდირბეგაშვილი-ვარდოსანიძისა

და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ვალერის, მის ოჯახსა და ახლობლებს.

ბათუმში ჟიული შარტავას მემორიალი გაიხსნა

გუშინ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან ავთანდილ ბერიძესთან ერთად „გმირთა ხეივანში“ საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მემორიალის გახსნის ცერემონიალს დაესწრო. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ჟიული შარტავას ოჯახის წევრები და ახლობლები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

„ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენ ქალაქში ჩვენი დროის გმირის ჟიული შარტავას მემორიალის გახსნა. ეს ის ადმაინია, რომელიც ბოლო წუთებამდე იდგა ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე და თავი შესწირა ჩვენი ქვეყნის ერთიანობას“ – აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

ჟიული შარტავას მემორიალის ავტორია გიორგი შხვაცაბაია. მემორიალის პროექტი მომზადებულია ქალაქ ბათუმის მერიის დაკვეთით და მისი ღირებულება 62530,39 ლარს შეადგენს.

სტიქიამ ხელვაჩაურს შეუტია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაწმენდითი სამუშაოები დილიდანვე ერთდროულად 9 სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობს და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნადიმ ვარშანიძე ადგილზე ეცნობა მიწის მასისგან გაწმენდით სამუშაოებს სოფელ თხილნარში, ერგეში და ახალსოფელში.

4 სექტემბრის ღამით მოსულმა უხვმა ნალექმა მეწყრული მოვლენები გამოიწვია რამდენიმე სოფელში. ახალსოფელსა და თხილნარში ჩახერგილია ცენტრალური გზები, გარე სამყაროსაა მოწყვეტილი 12 ოჯახი. დატბორილია სოფელ ახალსოფლის ცენტრი.

სოფელ ახალსოფლის და ავგიის დამაკავშირებელ გზაზე მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებთან ჩამოწვა და ზოგან განმეორდა მეწყერი. მსგავსი მდგომარეობაა სოფელ სარფში კალენდერეს გზაზე.

მთელი ღამის განმავლობაში შპს „ბათუმის წყლის“ მობილურმა ჯგუფებმა მოსული უხვი ნალექით გამოწვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად გაწმენდითი სამუშაოები განახორციელეს. ჩამოწოლილი მეწყრის პირველადი დასუფთავებითი სამუშაოები იმ-დღესვე განხორციელდა, ხოლო შემდეგ დღეებში დამეწყრილი ტერიტორიის კაპიტალურად გაწმენდა მიმდინარეობს.

ქეთი მამიდას და ირაკლი ბიძიას ვულოცავთ ქალიშვილის შემძენას. ვუსურვებთ ჩვენს მამიდაშვილს ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ულევ სიყვარულს თავის უფროს ძამიკო ოთოსთან ერთად.

დიდი სიყვარულით
სანდრო და ნია ქორიძეები.

ჰატარების მილოცვას ჩვენც ვუერთდებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები და ჩვენს კოლეგას კახა ქორიძეს გულითადად ვულოცავთ დისშვილის შემძენას. ღმერთმა ბედნიერი გოგონა გაგიზარდოთ, იხარეთ და იბედნიერეთ. ვსაროობთ ჰატარას მშობლების — ქეთი ქორიძისა და ირაკლი ვასაძის სიხარულით. ღმერთი ფარავდეს თქვენს ჰატარებსა და თქვენს ლამაზ ოჯახს.

„მეგა პალასის“ მშენებლობაში 15 მლნ ლარის ინვესტიცია ხორციელდება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე სასტუმრო „მეგა პალასის“ მშენებლობის პროცესს გაეცნენ.

მთავრობის წარმომადგენლებს პროექტის დეტალები შპს „მეგა პალასის“ დამფუძნებელმა ლევან ხიმშიაშვილმა გააცნო.

პროექტით რეგიონში დაახლოებით 15 მლნ ლარის ინვესტიცია ხორციელდება.

30-სართულიან შენობაში სულ 105 სასტუმრო ნომერი, კაზინო, რესტორანი, საცურაო აუზი და სხვა ობიექტები განთავსდება.

ამ ეტაპზე დასრულებულია შენობის მშენებლობის სამუშაოები და გარე და შიდა ფასადის მოწყობა(ლიფტების და ფანჯრების მონტაჟი, კიბეების მოწყობა და სხვა.) მიმდინარეობს. მშენებლობაზე 80 ადამიანია დასაქმებული. მშენებლობა 2014 წელს დაიწყო და ის 2017 წელს დასრულდება.

მალე ამ ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების კიდევ ორი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყება და დამატებით დაახლოებით 45 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდება. საუბარია ქართულ და უცხოურ ინვესტიციაზე.

ახალი გზები ადიგენში

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ადგილობრივი მნიშვნელობის მლაშე-მოხე-დერცელის საავტომობილო გზის 11.3-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დაასრულა. რეაბილიტირებული გზა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ნოდარ ჯავახიშვილმა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან გიორგი სეთურიძესთან ერთად დაათვალიერა.

აღნიშნული გზა სოფლებს: მლაშეს, მოხეს, დერცელსა და ჭეჭლას რაიონულ ცენტრთან — ადიგენთან აკავშირებს. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა გზის სავალ ნაწილს და სარეაბილიტაციო მონაკვეთზე არსებულ ხიდს. ასევე, განხორციელდა წყალგამტარი მილების, გზის საყრდენი კედლების, გვერდულების, კიუვეტების, გაბიონების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების, საგზაო ნიშნების, უსაფრთხოების ბარიერების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციის III პროექტის (SLRP III) ფარგლებში განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 6 მილიონ 428 ათასი ლარი შეადგინა.

„მოკრივეთა გონებასისუსტე“



კრივი, რომელსაც მთელ მსოფლიოში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, მამაცთა და ძლიერთა სპორტის სახეობაა. ბოლო დროს მის როგორც კლასიკურ სტილს, ასევე მრავალ ეროვნულ ნაირსახეობას, ბევრი ქალიშვილიც მისდევს, მაგრამ, სულ უფრო ხშირად გაისმის შეშფოთება იმის თაობაზე, რომ კრივი ჯანმრთელობისთვის არც თუ უსაფრთხო სპორტია.

ეგრეთ წოდებული „მარტლანდის სინდრომი“ ჯერ კიდევ 1928 წლის აღწერით — იგი პროგრესირებად ენცეფალოპათიაში გამოიხატება, რომლის ნიშნებია მეტყველების, მეხსიერების, მახსოვრობის შესუსტებაში, ემოციურ არამდგრადობაში და პარკინსონის სნეულების მსგავსი ნიშნებით ვლინდება. ეს დაავადება იმდენად დამახასიათებელია პროფესიულ მოკრივეთათვის, მეტადრე „მძიმეწონოსანთათვის“, რომ მას „მოკრივეთა გონებასისუსტე“ უწოდეს.

სპეციალისტების ერთსულოვანი აზრით, სინდრომის მიზეზებია თავის ტვინის აურაცხელი ტრავმა, რომლებიც თავში დარტყმების მიღების დროს მიიღება. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დაავადება არა მარტო მოკრივეებს ემართებათ. ქრონიკული ენცელოფათი, არსებული მონაცემებით, სპორტის კონტაქტური სახეობების ათლეტთა 17 პროცენტს სჭირს. ამის თაობაზე უტყუარი ინფორმაცია, მართალია, არ არსებობს, მაგრამ სპეციალისტები დარწმუნებული არიან, რომ რეალური მდგომარეობა გაცილებით უფრო საგანგაშოა.

ეს მრგვალი საპნის ბუშტები

ბევრნი, ალბათ, არც დაფიქრებულან, თუ რატომაა, რომ ბავშვების საყვარელი გასართობი — საპნის ბუშტები — მრგვალია?

მათი სფეროსებრი ფორმა ზედაპირული დაძაბულობის ძალებითაა განპირობებული, რომლებიც ბუშტებს ყველაზე კომპაქტურ ფორმას ანიჭებენ. ასეთი ფორმა კი ბუნებაში სფეროა. საქმე ისაა, რომ სფეროსებრი ფორმის შიგნით ჰაერი ბუშტის კედლებს თანაბარი ძალით აწვება.

„უხუცესნი“

დედამიწაზე ცოცხალ არსებათა უთვალავი სახეობაა, რომელთაგან ბევრნი არსებობის მილიონობით წელს ითვლიან.

მაგალითად, მოლუსკი ნეოპილინა ოკეანეში დაახლოებით 400 მილიონი წლის წინათ გაჩნდა. თევზებში უძველესი წარმოშობისაა ლატიმერია, რომელიც ჯერ კიდევ 300 მილიონი წლის „ასაკისაა“.

მწერებში რეკორდსმენები არიან ჭიანჭველები და ტარაკნები — მათი ასაკი დაახლოებით 120 მილიონი წელია.

უძველესი ძუძუმწოვრები კი ავსტრალიური იხვნისკარტა და ექიდნა არიან — მათი წინაპრები ჩვენს პლანეტაზე 100 მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ.

პირობები ბუნებრივი სჯობს

ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა მკვლევართა განცხადება იმის თაობაზე, რომ, თურმე, ბოსტნეულისა და ხილის მაცივარში შენახვა არ ღირს.

მკვლევართა აზრით, მაცივარში შენახვისას მცენარეული საკვები სასარგებლო თვისებებს კარგავს, რის შედეგად წყლისა და უჯრედოვანას უბრალო კრებულად იქცევა. ამდენად, ოპტიმალური ვარიანტია ახლადმოკრეფილი ბოსტნეულისა და ხილის ჭამა, ხოლო მათი შენახვა უმჯობესია ოთახის ტემპერატურასა და ბუნებრივი განათების პირობებში.

ბიბლიოთეკარი, მეცენატი

მე-18 საუკუნის მიწურულამდე ბიბლიოთეკების წიგნების აღწერა იქ არსებული გამოცემების ნუსხის შემცველ სქელ ტომებს წარმოადგენდა.

1780 წელს ვენის საიმპერატორო ბიბლიოთეკის გამგემ გოტფრიდ ვან სვიტენმა ხმარებაში ბარათები შემოიღო, რომელთა მეშვეობით ძალიან ადვილად შეიძლებოდა ალფავიტის ნებისმიერ ადგილას ცნობების შეტანა ახალი გამოცემების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ ვან სვიტენი — ეს ის მეცენატია, რომელიც მრავალ მუსიკოსს, მათ შორის მოცარტს მფარველობდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.293; ევრო - 2.564;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.041;
100 რუბლი - 3.487; თურქული ლირა - 0.774;
აზერბაიჯანული მანათი - 1.377;
1000 სომხური დრამი - 4.838.

ამინდი 6 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +14,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +8,	დღე +28
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +14,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +10,	დღე +29
თბილისი:	ღამე +18,	დღე +28

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE